საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიორგობას გილოცავთ, თანამემამულენო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 ნოემბერს ქართველი ერი აღნიშნავს წმინდისა, დიდებულისა დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგის დღეს — გიორგობის დღესასწაულს. გიორგობა ქართველთათვის განსაკუთრებულია. ჩვენში ნოემბერი გიორგობის თვედ იწოდება, წმინდა გიორგის სახელზე საქართველოში მრავალი ეკლესია-მონასტერია აგებული, ხალხი თაყვანს სცემს ამ პატიოსან მხედარს. ყოველივე ეს დასტურია დიდი პატივისცემისა წმინდა გიორგისადმი, რომელიც მუდამ ითვლებოდა მხედართა მფარველად და გაჭირვებულთა მეოხედ. მის სახელს ყოველი ჩვენგანი უკავშირებს უძლეველობას და სიმართლეს, პატიოსნებასა და ერთგულებას, კეთილშობილებასა და სიბრძნეს.

წმინდა გიორგისადმი ხალხის დიდ სიყვარულს აქვს თავისი მიზეზი: ერთ-ერთი ალბათ, ისიც არის, რომ იგი იყო ბიძაშვილი წმინდა ნინო კაბადოკიელისა — ქართველთა განმანათლებლისა. მისი ტანჯვით აღსავსე ცხოვრება იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა უერთგულოს ადამიანმა ჭეშმარიტებას, საკუთარ რწმენას, ღმერთის სიყვარულს, პატიოსნებას.

წლევანდელ გიორგობას ქართველობა განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნავს. ქართველმა ხალხმა 5 ნოემბერს ჩატარებულ არჩევნებში გამოხატა თავისი ნება, გამოავლინა სიბრძნე და წინდახედულობა. არჩევნების შედეგები იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდება მშვიდობა, სტაბილურობა, შემოქმედებითი ატმოსფერო, და, კიდევ: გიორგობის კვირას მოხდება ქვეყნის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა — პრეზიდენტის ინაუგურაცია — ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ფიცს დადებს ღვთისა და ერის წინაშე. ეს დღე შევა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, როგორც იმედის, რწმენის, უკეთესი მომავლის სიმბოლო.

გიორგობას ყველა მოქმედ ეკლესიაში აღევლინება ლოცვა ღვთისა და წმინდა გიორგის სადიდებლად. ამ დღეს ჭეშმარიტი ქრისტიანები შევლენ ტაძარში, აანთებენ სანთელს და ილოცებენ ერის, მამულის მშვიდობისათვის, თავიანთი ოჯახების ბედნიერებისათვის.

გვფარავდეს ძლევამოსილი წმინდა გიორგის სახელი. დაე, ამ დღის მადლმა მოუტანოს ჩვენს სამშობლოს მშვიდობა, სიყვარული, თანხმობა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 174 (2090)
ხუთშაბათი, 23 ნოემბერი, 1995 წელი.
ფასი 25 თეთრი

26 ნოემბერს, კვირას, ხალხის მიერ არჩეული საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ფიცს დადებს ღვთისა და ერის წინაშე

სიმონ კილაძის ფოტო.

ედუარდ შევარდნაძე:

ახლა... ინაუგურაციის შესახებ, სიმართლე გითხრათ, მე შინაგანად წინააღმდეგი ვიყავი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომ ამ ცერემონიას ერთგვარი პომპეზურობა და განსაკუთრებული ხასიათი მინიჭებოდა. მაგრამ შემდეგ, როცა გავაგრძელეთ ამ პრობლემის განხილვა, ჩემმა კოლეგებმა თითქმის ერთსულოვნად დამარწმუნეს, რომ ეს პროცესი არ ეძღვნება ერთ პიროვნებას. პრეზიდენტის ინაუგურაცია სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობის, ქვეყნის სუვერენიტეტის სიმბოლოა. ამავე დროს მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეიქმნას გარკვეული ტრადიცია ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ასეთი ტრადიცია თითქმის ყველა ქვეყანას აქვს. მე ბევრჯერ დავსწრებივარ და, სიმართლე გითხრათ, მრავალ ქვეყანაში ამას მართლაც ზეიმის სახე აქვს, რადგან ხაზი ესმება სწორედ ქვეყნის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, მის სუვერენიტეტს. როგორ სახეს მიიღებს პრეზიდენტის მიერ ფიცის საჯაროდ დადება, გამოჩნდება კვირას, დღის პირველ საათზე. დაე, ეს დღე კიდევ უფრო დიდ და სასარგებლო საქმეთა სიმბოლოდ იქცეს ჩვენს სამშობლოში, მე ამას ვისურვებდი.

20 ნოემბრის რადიოინტერვიუდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ,

გილოცავთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას.

დარწმუნებული ვართ, რომ თავად პრეზიდენტობის ინსტიტუტის დამკვიდრება და ამ პოსტზე თქვენი არჩევა სიკეთეს მოუტანს საქართველოს.

დიდია თქვენი დამსახურება ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის სიყვარულის განმტკიცებისა და სახელმწიფო ურთიერთობის განვითარების საქმეში, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ისრაელი ხალხის მწუხარებისას თქვენმა გვერდში დგომამ.

მოვლენების განვითარებამ გვიჩვენა, რომ მცირე და ამავე დროს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის ბევრს განაპირობებს, ხშირად კი გადამწყვეტია მისდამი მსოფლიოს ნდობის ფაქტორი. უდაოა, რომ საქართველოსადმი ასეთი მიდგომის გარანტი დღეს თქვენ ხართ, თქვენი საქმიანობისა და ავტორიტეტის გათვალისწინებით.

გისურვებთ ყოველივე კარგს, ახალ გამარჯვებებს. აყვავებული და ძლიერი გვენახოს ჩვენი საყვარელი საქართველო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველ ებრაელთა სათვისტომოს სახელით

დ. ბოთერაშვილი,

ნიუ-იორკი, 1995 წლის 14 ნოემბერი.

ულოცავენ

მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს

გულწრფელად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის გამო. გისურვებთ, თქვენო აღმატებულებავ, ახალ-ახალ წარმატებებს ამ პასუხსაგები და კეთილშობილური თანამდებობის შესრულებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩინეთისა და საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება სხვადასხვა დარგში.

ძიან ძემინი,
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე.

პეკინი, 1995 წლის 9 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

ინდოეთის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით, დიდი სიამოვნებით გიგზავნით საუკეთესო სურვილებს და გისურვებთ ჯანმრთელობას თქვენს პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით.

მომავალშიც ვაპირებ თქვენთან თანამშრომლობას ჩვენი ხალხების და ქვეყნების საკეთილდღეოდ.

თქვენო აღმატებულებავ, მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემის დასტური.

ნარასიმჰა რაო,
ინდოეთის პრემიერ-მინისტრი.

ოფიციალური ფოსტა

მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

თურქი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით, მსურს უღრმესი მადლობა მოგახსენოთ თქვენი კეთილი წერილისათვის, რომელშიც გვილოცავთ ეროვნულ დღესასწაულს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობა უფრო გაღრმავდება და გაუმჯობესდება მომავალი წლების განმავლობაში.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა გისურვოთ საუკეთესო სურვილები, ჯანმრთელობა და ბედნიერება, ჩვენს მეგობარ ქართველ ხალხს კი — აყვავება, და კვლავ მსურს დაგიდასტუროთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

სულეიმან დემირელი,
თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებში მაჟორიტარული წესით პირველ ტურში, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის პარტიული სიით არჩეულ დეპუტატებს, აგრეთვე აფხაზეთიდან არჩეულ იმ დეპუტატებს, რომელთა უფლებამოსილება გაგრძელებულია, გთხოვთ, ამა წლის და 24 ნოემბერს 10 საათიდან 18 საათამდე გამოცხადდეთ რეგისტრაციისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (რუსთაველის პროსპექტი 29, მესამე სართული, სხდომათა დარბაზი).

გთხოვთ, თან იქონიოთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პირადობის მოწმობა და ორი ფოტოსურათი.

პრეზიდენტი

გზა გავლილი, გზა გასავლელი

ჩვენ ვართ დამნაშავე თუ სხვა, სულ ერთია, ჩატეხილი ხიდები უნდა აღვადგინოთ, ახალი უნდა ვაშენოთ, — ისე ვერც წარსულთან მივალთ და ვერც მომავალს გავუსწორებთ თვალს. ვერც მეცხრამეტე საუკუნიდან მოვხვდებით ოცდამეერთე საუკუნეში: მეოცე საუკუნის გადასახვლელის ჩაზერგვა შეუძლებელია, ისტორია მაინც გაასწორებს ჩვენს შეცდომას. ამიტომ პატივი ვცეთ დანატოვარს, ნაშრომს, ნაღვაწს, ავიღოთ, რაც გამოგვადგება, რაც არა — მომავალს მივანდოთ განსასჯელად.

ეს აზრები (უბის წიგნაკში რომ ჩამინიშნავს), სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიმართებაში გამოუთქვამს ედუარდ შევარდნაძეს. მისი მოღვაწეობაც ამ გზას მიჰყვებოდა: გულდაგულ ვეძებთ მისასვლელი ადამიანებთან, საზოგადოებასთან, რეგიონებთან, სახელმწიფოებთან და ასე შემდეგ...

ახლახან ედუარდ შევარდნაძემ რამდენიმე რესპუბლიკურ შეკრებაზე გარკვევით აღნიშნა: ადამიანი თავის სამოქმედო უბანზე ხელოვანი უნდა იყოს: ხელოვანი სცენაზე, ხელოვანი დაზგასთან, ხელოვანი ბიზნესში, საქმეში.

მაშინაც და ახლაც მისთვის უპირველესი საქართველო და ქართველი ხალხი იყო, რომელიც მუშაობდა, სწავლობდა, ილვწოდა; შრომა-გარჯისადმი ასეთი დამოკიდებულება მიაჩნდა ქართველი ერის შემაერთებელ ძალად.

თუ საზოგადოება სხვადასხვა კატეგორიად, დაპირისპირებულ ჯგუფებად არის დაყოფილი, უთანხმოებაც მოსალოდნელია. ედუარდ შევარდნაძემ ეს კარგად იცოდა და იცის დღესაც, და, რადგან ერის ამგვარი დაყოფა დაუშვებლად მიაჩნია, კომპრომისების, ურთიერთდათმობის გზით ცდილობს მისასვლელი გზების გამონახვას.

საქართველოს ეროვნული განვითარება და წინსვლა საბჭოთა კავშირის ფარგლებშიც ეროვნული პოლიტიკის გატარებასთან იყო დაკავშირებული. მაშინაც ახერხებდა ედუარდ შევარდნაძე არ ჩახერგილიყო სხვა ერებთან მისასვლელი გზა. ასე ილვწოდნენ ჩვენი ბრძენი წინაპრებიც. ამიტომ დგას თბილისში ერთმანეთის გვერდით მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული ტაძრები, მეჩეთი და სინაგოგა. ამიტომაც აღმართულან კვარცხლბეკზე ჩვენში სხვა ერის შვილთა ქანდაკებანი.

ედუარდ შევარდნაძემ სწორედ ეროვნული შემატა გზას, რომელიც მას, როგორც ხელმძღვანელს, ხალხთან ერთად უნდა გაევლო. მახსოვს 1978 წელი, საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართულის გამოცხადებასთან დაკავშირებით ახალგაზრდების გამოსვლები (რომელთა გვერდით ინტელიგენციის წარმომადგენლებიც იყვნენ). მიმდინარეობდა უმაღლესი საბჭოს სესია, ზღვასავით მღელვარე ახალგაზრდობამ რუსთაველის პროსპექტი გაავსო და მთავრობის სახლთან შეჩერდა. ვინ არ გამოვიდა მათ წინაშე, მაგრამ ამაოდ — არ მოუსმინეს. ბოლოს ბატონი ედუარდი გამოჩნდა. შეჯგუფულმა ახალგაზრდებმა გზა მისცეს მას, სმენად იქცნენ.. ქვეყნის ხელმძღვანელმა შესძლო ახალგაზრდებისათვის მიცემული სიტყვის შესრულება: კონსტიტუციით ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ედუარდ შევარდნაძე ახალგაზრდა კადრების აღზრდა-დაწინაურებას. ახლაც ასეა, რაც შეეხება ახალგაზრდა კადრების მისეული შეფასების კრიტერიუმებს, არა მგონია იგივე არ დარჩენილიყო: პრაქტიკული ჭკუა, ფსიქოლოგიური მდგრადობა, ტაქტი, საზოგადოებრივი აქტიურობა, მომთხოვნელობა, კრიტიკულობა, ორგანიზაციული საქმიანობისადმი მიდრეკილება, თუმცა არასოდეს მიჯნავდა და ერთმანეთს არ უპირისპირებდა ახალი თაობის ძალას, ენერგიას და უფროსი თაობის პრაქტიკულ ცხოვრებას, გამოცდილებას. მამათა და შვილთა ურთიერთობის სიმტკიცე საქართველოს სიძლიერის ერთ-ერთ პირობად მიაჩნდა და მიაჩნია დღესაც. იგი ეყრდნობოდა ილიასეულ აზრს: ახალ თაობას ეკუთვნის ის, ვინც დროის მოთხოვნამდეა ამაღლებული...

ედუარდ შევარდნაძეს ეროვნულ საქმედ სამშობლოს გარეთ მყოფი სახელოვანი ერისშვილების საქართველოში დაბრუნება მიაჩნდა, ან ჩვენი მიწა-წყლის სასარგებლოდ მათი მოღვაწეობის, ნიჭისა და უნარის გამოყენება. იმხანად შეიქმნა ეროვნული საზღვაო სანაოსნო, მისი ხელმძღვანელობით მოხდა ამ სანაოსნოს მეთაურად ჩრდილოეთიდან ქართველი მეზღვაურის, შორეული ნაოსნობის კაპიტნის ანატოლი კაჭარავას ჩამოყვანა. ზღვა ხალხი ხვდებოდა მაშინ ბათუმში ლეგენდარულ კაპიტანს, ზღვა ხალხმა დაიტირა და მიაცილა უკანასკნელ სამკვიდრებლამდე: მაშინ ბატონმა ედუარდმა თქვა:

— ქართველი მეზღვაური, სახელგანთქმული კაპიტანი მერეც, სიკვდილის შემდეგაც ვერ გასძლებს ცისფერი სტიქიონის გარეშე. შავი ზღვის ქართული ნაპირები უნდა ექცეს მას მყუდრო სავანედ.

როგორც მისი მოღვაწეობიდან ჩანს, იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შეიძლება კაცმა მატერიალური კეთილდღეობა შეიქმნას, მაგრამ სული ჰქონდეს ცარიელი. ამიტომ ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ეროვნული გენის, ქართული ცნობიერების ასაღორძინებლად თავიდანვე ერის კულტურის შემდგომი განვითარების პრობლემები წამოსწია წინ. სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ მისი ინიციატივით ეროვნული კულტურის გადარჩენის კომიტეტიც შეიქმნა.

შევარდნაძის მოღვაწეობის პერიოდში უფრო მეტად აღორძინდა ეროვნული მეცნიერება, საქართველოს გარეთაც გაითქვეს სახელი ჩვენმა მეცნიერულმა სკოლებმა, დაიწყო ქართული ენციკლოპედიის გამოცემა. ეროვნული წიგნი ამდენი ტირაჟითა და ასეთი მრავალფეროვნებით სხვა დროს არ გამორჩეულა. ქართული მწერლობა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე უფრო მეტად ალაპარაკდა, ქართული თეატრი მსოფლიო ორბიტაზე გაიჭრა. ქართულმა კინომ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ცნობილია იმდროინდელი სპორტის მიღწევები (ფეხბურთი, ჩოგბურთი, ქალთა ჭადრაკი და სხვა).

დღეს ზოგიერთ მწერალს, მეცნიერს, პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც იმდროინდელს ყველაფერს ლაფში სვრის, არც კი ახსოვს რამდენჯერ ბრძანდებოდა შევარდნაძესთან, დასწრებია მასთან თათბირებს, შეხვედრებს, სადაც სიტყვითაც გამოსულა და საკითხის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობაც მიუღია, ამ პერიოდში მიუნიჭებიათ მისთვის სამეცნიერო ხარისხი, შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის—ლაურეატობა, პრემია, მაგრამ დროება შეიცვალა და პატივცემულ ბატონებს ლანძღვა და გინება ახლა უფრო საჭიროდ მიუჩნევიათ.

მაისში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" წავიკითხე ღია წერილი შევარდნაძის სახელზე, რომლის ავტორები მაღალ შეფასებას აძლევენ შევარდნაძის ღვაწლს ეროვნული ტრადიციების დანერგვა-გავრცელებაში, სთხოვდნენ კვლავ შეეშველებინა ხელი ამ ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობისთვის, ერის შემობრუნებისთვის საუკუნოვანი საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებების, სახალხო და სახელმწიფო დღესასწაულებისაკენ, რომლებიც მაშინ საქართველოს მოსახლეობამ მსწრაფლ აიტაცა და თავისეულად დაიგულა. ეს საჭირო იყო იმიტომაც, რომ გონივრული დასვენების გარდა, ამგვარი ზეიმები ხელს უწყობენ ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების კიდევ უფრო ამაღლებას. ღია წერილის ავტორთა სურვილს — აღდგენილიყო „თბილისობა", დაემთხვა საერთო აზრი. 28-29 ოქტომბერს, ამ დღემ კვლავ შემოაბიჯა ჩვენს ქუჩებში, ხელი შეუწყო ადამიანთა დაახლოებას, გააღრმავა მათ შორის კეთილი ურთიერთობები.

დაიწყო შემობრუნება ტრადიციებისკენ. დიდგორობა, ვაჟაობა, ქართული სახელმწიფოებრიობის ზეიმი ქუთაისში, შოთაობა, კულტურის დღეები და სხვა, ამის საწინდარი არის. ყველას გვახსოვს ქორწინების სასახლეში ხელისმოწერის, ბავშვის დაბადების, ოქროსა და ვერცხლის ქორწილებისადმი მიძღვნილი რიტუალები. იქ არავინ ეხებოდა ადამიანთა რწმენას, სხვადასხვა ერისადმი კუთვნილებას (სხვათა შორის, უცხოელები ზეიმით აღნიშნავენ აქ მათი ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენებს). დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება ეს საზეიმო ცერემონიალებიც. იმედი გვაქვს შევარდნაძის ძალისხმევა „გარეჯობასაც" გადაწყვედება და კვლავ დაიძრებიან კახეთისაკენ სვანეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, სამეგრელოდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ადამიანები აღორძინებული ჩვენი მიწისა და ჩვენი შესანიშნავი კულტურის ძეგლების პატივსაცემად...

საყურადღებოა: ადამიანი, რომლის მოღვაწეობას გონივრულად აფასებ, გწამს და მიჰყვები, რატომ უნდა მოინათლოს პიროვნების კულტად? ქართველებს ხომ ოდითგანვე ჰყავდათ თავისი ხევისბერები, თემის კაცები. სხვადასხვა რანგის „უტიტულო" გამძღოლები (რომ არაფერი ვთქვათ ქვეყნის სათაყვანო საჭეთმპყრობლებზე), თუ ადამიანს აქვს წინმსვლელის ალღო, გამორჩეული თვისებები, ერუდიცია, მზად არის ემსახუროს ხალხს, რატომ უნდა გვეშინოდეს პატივი მივაგოთ, ან თუ გნებავთ თაყვანი ვცეთ მას? ეს არ ნიშნავს ამ ადამიანის ერთადერთობას: ის ერთ-ერთი იმათგანია, ვინც საქართველოს გაიყვანს ჩვენთვის სასურველ ორბიტაზე!

ცნობილია, ყველაზე სრულყოფილი ორგანიზებული სტრუქტურებიც კი უძალოა, თუ მათ არ შთაბერავენ სიცოცხლეს ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი პოლიტიკური და საქმიანი თვისებები.

ძიების რომანტიკაც შევარდნაძის თვისება იყო. ორმოცდაათიანი წლების ქართველ ახალგაზრდობას ყამირ მიწებზე თვითონ მიუძღოდა. თვითონვე იყო ბევრი შესანიშნავი ეროვნული საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი.

ოქტომბერში, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ კვლავაც ხაზგასმით განაცხადა: ყველაფერი ტყუილია, თუ ადამიანურობა დაიკარგა, ერთმანეთს გვერდში არ ამოვუდექით. ალბათ, ამიტომაც უხდის იგი ხარკს ყველა პარტიას, გაერთიანებას, კავშირს, საქართველოს საკეთილდღეოდ გაწეული სამსახურისათვის. არ მესმის იმ გაზეთებისა, რომლებიც პატივს არ სცემენ საკუთარ ღირსებას და უდიერად იხსენიებენ ადამიანს! დიდი ილიასი არ იყოს: სიმართლე ისე უნდა ითქვას, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობის გრძნობა და პატივი, არ დაუკარგოთ ის ძვირფასი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და, რომლის მეოხებითაც იგი თავის თავს კაცად სცნობს და აღიარებს.. ეთნოკრიზისებით დაღამულ საქართველოში კასტურმა ომებმა კაცურ ღირსებებს არ უნდა სძლიონ..

მწამს და მჯერა: შევარდნაძე არ შეიცვლის მიმართულებას, სამოქმედო პრინციპს — საქართველო უპირველეს ყოვლისა! რაც დღეისათვის ნიშნავს — ფასეულობათა სისტემის ტრანსფორმაციას, ისტორიული დინამიზმის აღდგენას, წარსულსა და მომავალს შორის საიმედო ხიდის გადებას და, რაც მთავარია, დიდ ეროვნულ შერიგებას, გაერთიანებას იმ ეროვნული საქმის ირგვლივ, რისთვისაც ვიბრძოლეთ, ვიშრომეთ, ვიომეთ, თავი გავწირეთ.

გზა მშვიდობისა!

ჩინო ჩქარეული.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს მოსახლეობის აღწერის მოწყობისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

1. **მოეწყოს** საქართველოს მოსახლეობის აღწერა 1999 წლის დასაწყისის მდგომარეობით.

2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა (ლ. გიგინეიშვილი) ერთი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მოწყობის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიის პერსონალური შემადგენლობის სიის პროექტი.

3. მოსახლეობის აღწერის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიამ წარმოადგინოს:

— 1996 წლის 1 იანვრამდე წინადადება მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მოწყობის ზუსტი თარიღის შესახებ;

— 1996 წლის 1 აპრილამდე აღწერის მოწყობის პროგრამა, მისი დამუშავების პირობები და აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისათვის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სამუშაო ეტაპების მიხედვით.

4. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართოს თხოვნით აღწერისათვის მატერიალური და ფინანსური დახმარების გასაწევად.

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური კონტინგენტი და დახურული ობიექტები, განახორციელონ მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მოსაწყობად და უზრუნველყონ სამხედრო მოსამსახურეების და მოსახლეობის სპეციალური კონტინგენტის აღწერა.

6. საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა 1997 წლის 1 იანვრამდე გამოუყოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს საჭირო რაოდენობის ავტოტრანსპორტი მოსახლეობის აღწერის მომზადება-მოწყობისათვის.

7. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ადმინისტრაციულმა სამხარეო ორგანოებმა, ქალაქებისა და რაიონების გამგეობებმა (მერიებმა):

ა) დააზუსტონ 1997 წლის 1 ივლისამდე საქალაქო დასახლებათა ნუსხა და საზღვრები, მოაწესრიგონ მათში ქუჩების დასახელება, კვარტლების, სახლებისა და ბინების ნუმერაცია;

ბ) დააზუსტონ ან შეადგინონ 1998 წლის 1 იანვრამდე საქალაქო დასახლებათა და დიდი სოფლების სქემატური გეგმები, რაიონების რუკები და უზრუნველყონ აღნიშნული გეგმებითა და რუკებით სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები;

გ) შეამოწმონ 1998 წლის 1 იანვრამდე საქალაქო დასახლებათა საცხოვრებელ სახლებსა და სხვა ნაგებობათა საცხოვრებელ სადგომებში მცხოვრები მოსახლეობის აღრიცხვის სისწორე და სისრულე;

დ) 1998 წლის თებერვლამდე საქალაქო, სადაბო და სასოფლო საკრებულოებმა შეადგინონ სოფლის დასახლებული პუნქტების სიები საკომლო აღრიცხვის წიგნების (სიების) შემოწმებული მონაცემების მიხედვით;

ე) უზრუნველყონ 1998 წლის თებერვალ-მარტში აღწერის მოსაწყობად საჭირო კადრების შერჩევა და მომზადება რეგისტრატორებად, ქალაქ-დასახლებებსა და მსხვილ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობათა საცხოვრებელი სადგომების სიების შესადგენად. ამავე დროს, თუ შერჩეული კადრებიდან იქნებიან ისეთები, რომლებსაც აქვთ სხვა ძირითადი სამუშაო ადგილები, გათავისუფლდნენ ისინი ძირითადი სამუშაოსაგან 20 სამუშაო დღით (საშუალო გამომუშავების შენარჩუნებით). ამასთან, დაუწესდეთ დამატებითი ერთდროული ანაზღაურება საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობათა საცხოვრებელი სადგომების სიების შესადგენად;

ვ) უზრუნველყონ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის ორგანოები კავშირგაბმულობის საშუალებებით, ავეჯითა და ინვენტარით აღჭურვილი სადგომებით მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მომზადება-მოწყობისათვის, აგრეთვე აღწერის მასალების მიღებით, დამუშავებითა და შენახვით დასაქმებული აპარატის მუშაკების მოსათავსებლად.

8. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტმა, კომუნალური მეურნეობის გაერთიანებამ უზრუნველყონ საქალაქო დასახლებათა და დიდი სოფლების სქემატური გეგმებისა და რაიონების რუკების დამზადება აღწერის დარაიონებისათვის გამგეობების შეკვეთების მიხედვით.

9. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო-ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ქალაქებისა და რაიონების გამგეობებმა უზრუნველყონ ანშლაგების, სანომრო ნიშნების დროულად დამზადება და გააკონტროლონ საქალაქო დასახლებებში, რაიონულ ცენტრებსა და დიდ სოფლებში ქუჩების დასახელებათა, კვარტლების, სახლებისა და ბინების ნუმერაციის მოწესრიგება.

10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღოს დამატებითი ზომები საქალაქო დასახლებათა საცხოვრებელ სახლებსა და სხვა ნაგებობათა საცხოვრებელ სადგომებში მცხოვრები მოსახლეობის სრული და სწორი აღრიცხვის უზრუნველსაყოფად.

11. საქართველოს ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ გამოუყოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს (მათ მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების საფუძველზე) მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მოსაწყობად საჭირო ქაღალდი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

12. საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციამ უზრუნველყოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის შეკვეთით და მასთან შეთანხმებულ ვადებში დოკუმენტაციის დამზადება, აღწერის შესახებ ბროშურის, ფერადი პლაკატებისა და სხვა მასალების გამოცემა, რაც საჭიროა მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მოსამზადებლად და მოსაწყობად და აღწერის მასალების დასამუშავებლად.

13. ეთხოვოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციას მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელ და აღწერის მოწყობის პერიოდში გამოუყოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის ორგანოებს საჭირო საეთერო დრო.

14. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის ორგანოებისათვის საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის მიცემა პაროლით — „აღწერა" კომიტეტთან შეთანხმებული წესით მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მომზადება-მოწყობის და მისი მასალების დამუშავების პერიოდში ჩვეულებრივი ტარიფის მიხედვით ანაზღაურებით.

15. თბილისის მერიამ გამოუყოს 1998 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს დროებით სარგებლობაში მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მომზადება-მოწყობისათვის (აღწერის მასალების მიღებით, დაშიფვრით, დამუშავებითა და შენახვით) დასაქმებული აპარატის მუშაკთათვის საჭირო ფართობის მქონე კეთილმოწყობილი, კავშირგაბმულობის საშუალებებით აღჭურვილი სადგომი.

16. ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების გამგეობებმა (მერიებმა):

ა) შექმნან მოსახლეობის 1999 წლის აღწერის სახელმწიფო საორგანიზაციო კომისიები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, საქალაქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო საკრებულოებთან;

ბ) შეიყვანონ მოსახლეობის 1999 წლის აღწერის საორგანიზაციო კომისიების შემადგენლობაში საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, პროფკავშირის მუშაკები, გამგეობებისა და საკრებულოების წევრები, დეპუტატები და სხვ.

17. საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მოწყობის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიამ პერიოდულად წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს ინფორმაცია აღწერისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 20 ნოემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

რ. ქორქოლიანის მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და მხედრული ვალის მოხდისათვის, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კომენდანტურა „მესტიის" კომენდანტი მაიორი **რეზო ქორქოლიანი** დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის" (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 9 ნოემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავის აღნიშვნის ღონისძიებათა შესახებ

1. **მიღებულ** იქნეს სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინადადება და 1995 წლის 30 ნოემბერს გაიმართოს ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

2. შეიქმნას საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ალბერტ თავხელიძე — **კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;**

გივი სანაძე — **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;**

დავით იაკობიძე — **საქართველოს ფინანსთა მინისტრი;**

ლევან ჯაფარიძე — **საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარე;**

ზურაბ ერქვანია — **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;**

არჩილ გოგელია — **საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციის თავმჯდომარე;**

რევაზ სალუქვაძე — **სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი;**

დავით ბურჯულაძე — **საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხთა მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;**

კობა იმედაშვილი — **საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი კულტურასა, მეცნიერებასა და განათლებაში;**

ზაზა შენგელია — **თბილისის მერის მოადგილე;**

ირაკლი ანდრიაძე — **საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.**

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს 5 (ხუთი) ათასი ლარი 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

4. ეთხოვოთ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციას, საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციასა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ფართოდ გააშუქონ სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

5. საიუბილეო კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის 50 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 20 ნოემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ადმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობების აღრიცხვის მოწესრიგებისა და მათი ეფექტიანად გამოყენების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, მათთან გათანაბრებული საერთაშორისო ორგანიზაციების განთავსებისა და მათი მომსახურეობის დონის მკვეთრი გაუმჯობესების მიზნით;

1. გადაეცეს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში:

— თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ადმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობები, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად (გარდა იმ შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც განლაგებულია უშუალოდ საწარმოების ტერიტორიაზე);

— ყველა შენობა-ნაგებობა და არასაცხოვრებელი ფართობი, რომლებიც წინა წლებში ადგილობრივი მმართველობის ბალანსიდან გადაეცა სხვა ორგანიზაციებს.

2. თბილისის მერიამ რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აღწეროს ბრძანებულების პირველი პუნქტის პირველ ქვეპუნქტში აღნიშნული შენობა-ნაგებობები და განსაზღვროს ამ შენობების მფლობელებისათვის საჭირო ფართობების სამეურნეო გამგებლობაში გადაცემის საკითხი, ხოლო იჯარით გაცემული ფართობების რეგისტრაცია განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ნება დაერთოს თბილისის მერიას ადგილობრივი და საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვის მიზნით დამოუკიდებლად განიხილოს და გადაწყვიტოს მუნიციპალური ქონების პირდაპირი წესით იჯარით გაცემის საკითხები „იჯარის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

4. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს თბილისის მერიას.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 20 ნოემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციის პირველ ეტაპზე მოსახლეობის სახელმწიფო დახმარების გაფართოების შესახებ

ორ თვეზე მეტია, საქართველოში მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციის რთული და მრავალეტაპიანი პროცესი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საფუძველი გახდა პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული მიდგომა, რომლის დროსაც ნაცვლად ყოვლისმომცველი, არარეალური და შეუწონასწორებელი დეკლარირებული ვალდებულებებისა, შემუშავდა ქვეყნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე მკაცრი კრიტერიუმებით განსაზღვრული პრიორიტეტების სისტემაზე დამყარებული სახელმწიფო პროგრამები. მათში თავმოყრილია სახელმწიფო ვალდებულებანი საკუთარი მოსახლეობის წინაშე ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სფეროში.

აღნიშნული ვალდებულებანი ნაწილდება სახელმწიფოებრივი ფორმირების ორ იერარქიულ დონეზე — ფედერალურ (რესპუბლიკურ) დონეზე ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის თანაბრად გარანტირებულია პრიორიტეტული სახელმწიფო ვალდებულებანი, ხოლო შემდგომ დონეზე ქალაქებისა და რაიონების შესაძლებლობების მიხედვით ყალიბდება მუნიციპალური პროგრამები. ამავე დროს ქვეყნის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული სამედიცინო დახმარების სავალდებულო მინიმუმის აუცილებელი შესრულება სავალდებულოა ნებისმიერ მუნიციპალიტეტისათვის.

ამგვარად, ხორციელდება ხელისუფლების ნებისმიერ დონეზე საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფოებრივი ვალდებულებებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის გამიჯვნა.

ყოველივე ეს ახალ სისტემას დინამიკურს, მობილურსა და მართვადს ხდის. სისტემაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა და მმართველობითი ზემოქმედება. ამასთან ერთად, იგი შეკრულია ერთიანი სისტემური იდეოლოგიით და მისთვის მიუღებელია არარეალურ და შეუწონასწორებელ ღონისძიებათა განხორციელება. სისტემისათვის მიუღებელია სუბიექტური, ვოლუნტარისტული ჩარევა, რადგანაც მისი მდგრადობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.

ახალი პირობებით მუშაობის ორი თვის გამოცდილება შესაძლებელს ხდის დაიხვეწოს სახელმწიფო სტანდარტები, აღმოიფხვრას ხარვეზები, ჩამოყალიბდეს მკურნალობის უფრო რაციონალური სქემები.

დარგის რეორიენტაციის პირველ ეტაპზე უკვე გამოჩნდა ახალი მოდელის ის უპირატესობა, რომ დარგის ქრონიკულად დეფიციტური საფინანსო სისტემა რეალურად მყარი ხდება და იძენს უნარს საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმიზაციის საფუძველზე გააფართოოს ნაკისრი ვალდებულებანი.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის დასაწყისშივე სახელმწიფო ვალდებულებების სფერო საკმაოდ ფართო იყო და მოიცვა ჯანმრთელობის დაცვის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებანი, როგორიცაა: მოსახლეობის სრული იმუნიზაცია, სოციალურად საშიში დაავადებების პროფილაქტიკა, ბავშვთა გადარჩენისა და უსაფრთხო დედობის უზრუნველყოფა, ფსიქიატრიულ და ფტიზიატრიულ ავადმყოფთა სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობა, მოსახლეობის ურგენტული დახმარების სახელმწიფო პროგრამები, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უძნელდება მთელ რიგ ძვირადღირებულ სახეობათა მკურნალობის საფასურის გადახდა, რომელიც ობიექტურად ვერ მოხვდა თავდაპირველ სახელმწიფო პროგრამებში, ამასთან ერთად, მთელმა რიგმა რაიონებმა და ქალაქებმა ვერ შეძლეს საკუთარი მოსახლეობის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, რამაც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა რიგი სამედიცინო დაწესებულებანი. გაუმართლებლად ჭიანურდება უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის პერსონალური სიების შედგენა.

ყოველივე ამან დარგის რეორიენტაციის პროცესის პირველსავე ეტაპზე გარკვეული დამატებითი სირთულეები წარმოშვა, რაც გამოვლინდა კიდეც მოსახლეობასთან შეხვედრების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და მიმდინარე რეფორმის ქმედითობის გაძლიერებისა და გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სირთულეების დაძლევის მიზნით:

1. მიმდინარე წლის 6 ნოემბრიდან გაფართოვდეს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოცულობა დანართის თანახმად.

2. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარება განხორციელდეს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის წესით, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ წარმოდგენილი სიების მიხედვით.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უზრუნველყოს:

სახელმწიფო პროგრამაში დამატებით შეტანილი ნოზოლოგიების სახელმწიფო სამედიცინო სტანდარტების შემუშავება და დამტკიცება დადგენილი წესის მიხედვით და მათი დროული დაყვანა სამედიცინო დაწესებულებამდე;

აღნიშნულ დაავადებათა მკურნალობის საფასურის სრული და დროული ანაზღაურება ჯანდაცვის სახელმწიფო ფონდიდან დადგენილი წესის მიხედვით;

განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის დამატებითი სამედიცინო დახმარების გაწევა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის წესით;

უმწეოთათვის სადაზღვევო პოლისების შემუშავება და დარიგება;

1996 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში დამატებით შესატანი ნოზოლოგიების ნუსხა.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ჯანდაცვის სახელმწიფო ფონდს სავალდებულო სამედიცინო გადასახდელებისა და ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და საქართველოში რეალიზაციისათვის დაწესებული გადასახადების დროულ და სრულ ამოღებაში.

5. დაევალოთ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სამხარეო რწმუნებულებს, ქალაქების მერებსა და რაიონების გამგებლებს:

უზრუნველყონ განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის სიების შედგენა და პერიოდული დაზუსტება;

უზრუნველყონ მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამების მინიმალური მოცულობის დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დროული და სრული ჩარიცხვა შესაბამის ჯანდაცვის ფონდებში დადგენილი წესის მიხედვით;

1996 წლის რაიონული და საქალაქო ბიუჯეტების შედგენისას გაითვალისწინონ მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო საფინანსო რესურსები.

6. ახლად ჩამოყალიბებულმა სასოფლო მმართველობის თემებმა უზრუნველყონ შესაბამისი სასოფლო ამბულატორიებისა და საბებიო-საექთნო პუნქტების შენახვა საკუთარი ბიუჯეტის ხარჯზე სპეციალური პროგრამების მიხედვით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 4 ნოემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის კომიტეტის დებულების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ოქტომბრის 404 ბრძანებულების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის კომიტეტის დებულება".

2. დაევალოს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის კომიტეტს მსოფლიო ბანკის ენერგეტიკული მისიისა და სხვა საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით:

— შეიმუშაოს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის საბაზრო პრინციპებზე დამყარებული რესტრუქტურიზაციის სახელმწიფო პროგრამა;

— კოორდინაცია გაუწიოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, სტრუქტურული გარდაქმნების, მიმდინარე და პერსპექტიული განვითარების ნებისმიერი წინადადების შემუშავებას, განხილვასა და მასზე შემდგომ რეაგირებას.

ე. შევარდნაძე

1995 წლის 20 ნოემბერი.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის კომიტეტის

დებულება

1. ზოგადი დებულებები

1. ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი), რომელიც შექმნილია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ოქტომბრის 404 ბრძანებულების შესაბამისად, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას და ანგარიშვალდებულია უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

2. კომიტეტის მთავარი მიზანია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის შესაბამისი ელექტროენერგეტიკული სექტორის ძირეული რეორგანიზაცია და მაქსიმალურად ეფექტიანი სტრუქტურების შემუშავება და დანერგვა.

3. კომიტეტის თავმჯდომარე და მისი წევრები კომიტეტში საქმიანობისათვის გასამრჯელოს არ იღებენ.

4. კომიტეტი იქმნება ერთი წლის ვადით აუცილებლობის შემთხვევაში მისი საქმიანობის ვადის გაგრძელება შეიძლება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

5. კომიტეტი მუშაობს წინასწარ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. მის დამტკიცებას სჭირდება კომიტეტის წევრების ხმების სულ ცოტა ორი მესამედი. კომიტეტის გადაწყვეტილება [illegible]ლოა და ექვემდებარება დაუყოვნებლივ შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში.

6. კომიტეტის სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ორჯერ.

2. კომიტეტის უფლებები და მოვალეობები

7. კომიტეტს უფლება აქვს:

— მოითხოვოს და მიიღოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში გაერთიანებული ორგანიზაციების, ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და აგრეთვე სახელმწიფო მართვის შესაბამისი ორგანოებისაგან სათანადო მასალები, წინადადებები და რეკომენდაციები სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ;

— დასვას საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბანკების წინაშე ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ;

— განიხილოს და მოამზადოს რეკომენდაციები სექტორში განსახორციელებელი ყველა სტრუქტურული, საკუთრებრივი და სხვა ცვლილებების მიზანშეწონილობის შესახებ; არ დაუშვას სექტორის რეორგანიზაცია ერთიანი სახელმწიფო პროგრამის მიღებამდე;

— განიხილოს ელექტროენერგეტიკის სექტორის თაობაზე ხელისუფლების სახელზე წარმოდგენილი წინადადებები დარგში სტრუქტურული, საკუთრებრივი და სხვა სახის ცვლილებების შეტანის შესახებ, მოითხოვოს ამ წინადადებების შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა დასაბუთებები.

8. რესტრუქტურიზაციის კომიტეტი ვალდებულია:

— განიხილოს და შეფასება მისცეს რესტრუქტურიზაციის ალტერნატიულ წინადადებებს, საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს ტექნიკური დახმარების პროექტი ამ ალტერნატივებს შორის არჩევანის გასაკეთებლად;

— მოამზადოს ელექტროენერგეტიკული სექტორის სისტემური რეორგანიზაციის სახელმწიფო პროგრამა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით არსებული წესის მიხედვით;

— განიხილოს ნებისმიერი არგუმენტირებული წინადადება პრივატიზაციისა და კორპორატიზაციის შესახებ და მიიღოს რეკომენდაციები რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— შეადგინოს კერძო და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გეგმა და მოამზადოს ელექტროენერგეტიკაში ინვესტირების მიზანშეწონილობის რეკლამირებისათვის სათანადო მასალები რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. კომიტეტის ლიკვიდაცია შესაძლებელია მისი მოქმედების ვადის გასვლის გამო და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბალკანეთში მშვიდობა უნდა დამკვიდრდეს

ამერიკის დიპლომატიის გან[illegible] საკუთრებული შეიძლება ით[illegible]ვას უპრეცედენტო [illegible]ბის მეოხებით, რომელშიც პირადად პრეზიდენტი ბილ კლინტონიც ჩაება, შესაძლებელი გახდა ბალკანეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა. სერბიის, ხორვატიისა და ბოსნიის პრეზიდენტებმა — სლობოდან მილოშევიჩმა, ფრანიო ტუჯმანმა, და ალია იზეტბეგოვიჩმა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თქვა, „ისტორიული და გმირული არჩევანი გააკეთეს". ნიშანდობლივია, რომ ოჰაიოს მოლაპარაკების დამთავრების ბოლო წუთამდე ზოგიერთი საკითხი შეუთანხმებელი რჩებოდა (თუმცა, ზოგი ჯერაც გადაწყვეტას მოითხოვს).

ბალკანეთში მშვიდობამ უნდა დაისადგუროს: შეწყდა საომარი მოქმედება, მოხდება დაპირისპირებული შეიარაღებული ძალების დაშორიშორება, ბოსნიაში გაიგზავნება ნატოს მრავალეროვნული შეიარაღებული კონტინგენტი 60 ათასი სამხედრო მოსამსახურის (მათ შორის 30 ათასი ამერიკელის) მონაწილეობით, შეიქმნება ერთიანი ავტონომიური გაერთიანება ბოსნია-ხორვატიის ფედერაცია და სერბთა რესპუბლიკა ცენტრალური მთავრობით. გაიმართება ერთიანი საკანონმდებლო ორგანოსა და პრეზიდენტის თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები. დედაქალაქი სარაევო განუყოფელი დარჩება. ლტოლვილებს შეეძლებათ მშობლიურ ადგილებში დაბრუნება.

დასავლეთის ბევრი ლიდერი უკვე მიესალმა ოჰაიოში მოლაპარაკების წარმატებას, რომელიც ბოლოს უღებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ყველაზე სერიოზულ, სისხლისმღვრელ და საშიშ „კონფლიქტს, მსოფლიო მასშტაბის ახალი დიდი, რელიგიური ელფერის ომის [illegible] რომ შეიძლება გადაქცეულიყო და [illegible] მ[illegible]ლო, მით უმეტეს მსოფლიოში რიგი ეთნიკურ-პოლიტიკური, აგრესიულ-სეპარატისტული ცხელი კერების არსებობის ვითარებაში, რომლებშიც მრავალი სახელმწიფოს ინტერესებიც არის გადაჯაჭვული. **ამდენად ოჰაიოში ხელმოწერილი სრულმასშტაბიანი მშვიდობიანი შეთანხმების პარაფირებას, შემდეგ კი პარიზის კონფერენციაზე მის ხელმოწერას მრავალგანზომილებიანი მნიშვნელობა ენიჭება და იგი უნდა გახდეს აგრესიული სეპარატიზმის, ვიწრო ნაციონალისტურ ქვენა გრძნობებზე, შეურიგებელი ფანატიზმის საფუძველზე წარმოშობილი კონფლიქტების მოწესრიგების გარკვეული ეტალონი და მისაბაძი მაგალითი.** ეს, ბუნებ[illegible]რივია, ეხება ყოფილ საბჭო[illegible] სივრცეზე ისეთ კონფლიქ[illegible]საც, როგორიც უწინარეს ყ[illegible]ლისა, არის ქართველ-აფხაზ[illegible] მთიანი ყარაბაღის, ტაჯიკეთ[illegible]რისი და ჩეჩნეთის კონფლი[illegible]ტები... არ მიგვაჩნია შემთხვევითად, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა საგანგებო მითითება მისცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრია კოზირევს (რომელმაც თავისი მურმანსკში წინასაარჩევნო მოგზაურობა გადადო), თავდაცვის მინისტრს პაველ გრაჩოვს და სასაზღვრო ჯარების სამსახურის დირექტორს ანდრია ნიკოლაევს, სასწრაფოდ განიხილონ ჩიხში მოქცეული ქართველ-აფხაზთა მოლაპარაკება, რომელშიც რუსეთი შუამავლობს, აგრეთვე — ყარაბაღის მოწესრიგების საკითხზე ბონში ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის მინსკის ჯგუფის წევრების შეხვედრა ყარაბაღის პრობლემის განსახილველად, რომელიც ჯერ კიდევ 1988 წელს დაიწყო.

ირაკლი ჯაფარიძე.

რუსეთის პრესის სარკეში

- ### ევრაზიული იდეის პირველი ნაყოფი?
- ### „საქართველოს აჩრდილი" რუსეთის არჩევნებზე.
- ### „ხალხს ისევ მოენატრა საბელი" — მიაჩნია ცნობილ სატირიკოსს.

„ნეზავისიმაია გაზეტა" აანალიზებს ბ. ელცინისა და ნ. ნაზარბაევის შეხვედრას, რომელიც, როგორც ცნობილია, საავადმყოფოში გაიმართა და, მაშასადამე, ოპერატიულმა საჭიროებამ მოითხოვა. ორი ლიდერის საუბარი ეხებოდა არა მარტო კოოპერაციას თანამეგობრობის ფარგლებში, არამედ **ერთობლივ მოქმედებასაც საერთაშორისო ასპარეზზე**, რაც თავისთავად მრავლისმეტყველია. იმსჯელეს აგრეთვე, **რუსეთ-ბელორუსია-ყაზახეთის სამკუთხედში საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნის აქტუალობაზე.** და ეს უკვე შეიძლება ნაზარბაევის ევრაზიული იდეის ჩანასახად ჩაითვალოს.

როგორც გაზეთი **„სეგოდნია"** აღნიშნავს, ევროპის საბჭოში რუსეთის მიღებას **ევროპელი მეთვალყურენი არჩევნების შედეგებს უკავშირებენ.** იუწყებიან, რომ არჩევნებს თვალყური უნდა ადევნოს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურმა კომისიამ. რუსეთის ფედერაციის საბჭო ამ პირობის უკმაყოფილოა, ვინაიდან, იგი არადემოკრატიულად მიაჩნია. პირობა კი ასე უნდა გავიგოთ: ევროპელ პარტნიორებს ხელს მისცემს ან არ მისცემს რუსეთის კანონმდებელთა ახალი შემადგენლობა.

„პრავდა" ვერა და ვერ მალავს მაზოხისტურ „სიყვარულს" საქართველოს მიმართ და ამთავითვე აშინებს რუსეთის ამომრჩევლებს „საქართველოს არჩევნების აჩრდილით". მაინც, რა ავბედითი აჩრდილი ელანდებათ პრავდელებს? თურმე ნუ იტყვით, იმ გარემოებამ, რომ საქართველოში საპარლამენტო ადგილების მოსაპოვებლად იბრძოდა 54 საარჩევნო გაერთიანება, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერ დაძლია 5-პროცენტიანი ბარიერი, უნდა დააფიქროს ამომრჩევლები, რომელთაც არჩევანი უნდა მოახდინონ 40-ზე მეტ პარტიას შორის. და, ბუნებრივია, პარლამენტის ადგილები ყველას არ ეყოფა. ამით მთავრდება „პრავდა" — საქართველოს პარალელები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაზეთის კაეშანს შევარდნაძის გამარჯვების გამო, პირადად მე მიჭირს დავინახო ამ შედარებაში რაიმე, თუნდაც პროპაგანდისტული აზრის ნატამალი.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი" გამოთქვამს მოსაზრებას, რომელიც შეიძლება ყოველივე იმის განზოგადებად ჩაითვალოს, რასაც რუსეთის გაზეთები ერთხმად ლაპარაკობენ ჩეჩნეთზე. ყოველკვირეულის გაოცებას იწვევს ხასბულატოვის სამშვიდობო ინიციატივა. მაგრამ არა თვით ასეთი აქტიურობის ფაქტი, არამედ მისი პოზიცია. ექსსპიკერი წინადადებას აყენებს, მოლაპარაკება აწარმოონ დუდაევთან, რასაც გენერალმა კულიკოვმა უწოდა „კონსპირაციული თავყრილობა ხელისუფალთა ზურგს უკან". მაგრამ ხასბულატოვის მანევრებს ჭეშმარიტ მიზნად ყოველკვირეულს მიაჩნია, მოსკოვისათვის აუცილებელი თვალის ასახვევი მანევრის შესრულება, რათა დრო გაჭაჭანდეს ჩეჩნეთის პრობლემის გადასაწყვეტად რუსეთის არჩევნების შემდეგ.

„პრავდის" პარასკევის გამოშვებაში — **„პრავდა"-5"**-ში სათათბიროს კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ ილიუხინი მკითხველს ესაუბრება რუსეთის კომერციული სტრუქტურების საქმიანობის კრიმინალურ მხარეზე. კერძოდ, ასმა საფინანსო კომპანიამ, რომლებიც მოსკოვში მუშაობენ კერძო ინვესტიციების ბაზარზე, მთლიანად შეწყვიტა გადასახდელის გასტუმრება. მოტყუებულთა ზარალი 109 მილიარდ მანეთად არის შეფასებული. მიმდინარე წლის 9 თვეში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღრიცხა ეკონომიკური მიმართულების 13043 თაღლითობა. **„კომერციული სტრუქტურების მიერ მოტყუებული მეანაბრენი,** — წერს ილიუხინი, — **წარმოადგენენ სოციალურად ფეთქებად მასალას".** სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ **ამაში ბრალი მიუძღვის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელმაც ლეგალიზებული გახადა ფიქციური თუ უდღეური კომერციული ორგანიზაციების საქმიანობა.** რუსეთში აგორებული კრიმინალური ტალღა განსაკუთრებით უკავშირდება მოსახლეობაში ვაუჩერების შეძენას, რომლებიც თაღლითებმა ტრილიონობით მანეთისა გაყიდეს.

ამასობაში კი **„არგუმენტი ი ფაკტი"** წინასწარმეტყველებს მორიგ საბანკო კრიზისს რუსეთში. თუ ბანკების ერთ ნაწილს ვერსად დაუბანდებია ნამეტი სახსრები, მეორენი იძულებული არიან უარი თქვან დიდშემოსავლიანი ოპერაციების განხორციელებაზე, დამატებითი რესურსების მიზიდვის შეუძლებლობის გამო, ერთურთისათვის ნდობის სრული დაკარგვის პირობებში, ეჭვქვეშ დგება ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის ალორძინება. ეს კი მომასწავებელია ისეთი საბანკო კრიზისისა, რომლის მსგავსიც რუსეთს ჯერ არ უნახავს.

„მოსკოვსკაია პრავდის", უფრო ზუსტად კი, მისი დანართის **„ნოვი ვზგლიადის"** ფურცლებზე ხანგრძლივი დუმილის შემდეგ გამოჩნდა ვიტალი კოროტიჩი. გამოჩნდა იმისათვის, რომ ეამბნა, როგორ აბეზღებდნენ და როგორ ცდილობდნენ თავიდან მოეცილებინათ ჟურნალ „ოგონიოკის" რედაქტორი, რომელიც იმ დროს საგონებელში აგდებდა ხელისუფალთ. მაგალითად, თურმე პატრიოტი მწერალი ვასილ ბელოვი კოროტიჩზე ანონიმურ წერილებს უგზავნიდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და მას „ტროცკისტად" ასაღებდა, ხოლო თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტობა დააბრალა. „საბჭოთა ხელისუფლება ინტელიგენციის დევნით იწყებდაო", — შეგვახსენებს კოროტიჩი. ასე იქმნებოდა „ყაზარმული ბედნიერება". და ახლაც, კოროტიჩის აზრით, „რუსეთს ძალადობის მოწოდებათა ნიაღვარი მოედო".

და, ბოლოს, ვიქტორ შენდეროვიჩმა — ტელესერიალ „ტიკინების" ავტორმა, რომლის წინააღმდეგაც სკანდალური სასამართლო საქმე იყო აღძრული, **„აიფ"-ის** კორესპონდენტისადმი ინტერვიუში ასე ჩამოაყალიბა თავისი წუხილი, რომელიც სცილდება სატირის ჟანრის ფარგლებს: „თუ რეიტინგებით ვიმსჯელებთ, რომელთა მიხედვითაც ზიუგანოვი ლიდერობს, ხალხს ისევ წაუცდა ფეხი კომუნისტებისაკენ, ისევ მოენატრა საბელში თავის გაყოფა. ხოლო ევროპის ისტორიიდან ჩვენ ავიღებთ ყველაზე საზიზღარ ფურცლებს და ვთარგმნით მათ რუსულ ენაზე".

იური მოსეშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 ნოემბერს საქართველოს ბედი საიმედოდ გადაწყდა. საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ მთავარ საკითხში — პრეზიდენტის არჩევაში — ერთადერთი სწორი, ფხიზელი, საქართველოს მომავლისათვის სასიკეთო არჩევანი გააკეთა. საბედნიეროდ, ხალხის უმეტესობა გაერკვა ვითარებაში და პრეზიდენტად აირჩია ის ერთადერთი კაცი, ვისაც დღევანდელ ვითარებაში ძალუძს, გონება, გამოცდილება, საერთაშორისო ავტორიტეტი გააჩნია, რომ საქართველო კრიზისიდან გამოიყვანოს. ეს აქსიომაა და ოდნავ გონიერი ადამიანისთვის ამ არჩევანში იმთავითვე საეჭვო არაფერი იყო.

პრეზიდენტის არჩევნები სასიკეთოდ გადაწყდა და იქნებ ამაზე საუბარი აღარ გაგვეგრძელებინა, მაგრამ ამ არჩევნებში იყო ისეთი გამაფრთხილებელი მოვლენები, რომლებიც სამომავლოდ უთუოდ გასათვალისწინებელია და სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებს. ამიტომაც მინდა ორიოდე სიტყვით ჩემი პოზიცია გამოვხატო პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატთა მიმართ.

პოზიცია

არჩევნები სასიკეთოდ დამთავრდა, მაგრამ სამომავლოდ ბევრია საფიქრალი

ყველაზე მეტად მიძნელდება ლაპარაკი ბატონ ჯუმბერ პატიაშვილზე, რადგან პირადად პატივს ვცემდი, არც იმ გაფთრებულ ბრალდებებს ვიზიარებდი, რომლებიც მას 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით თავს დაატეხეს. 9 აპრილის უბედურებაში მთავარი დანაშაული ამ აქციის ორგანიზატორებს, ე. წ. ეროვნული მოძრაობის ბელადებს, პირველ რიგში გამსახურდიას და წერეთელს, მიუძღვით. ეს არაერთხელ თქმულა მრავალთა და მრავალთაგან და ბოლოს და ბოლოს აღიარებულ უნდა იქნეს! მიუხედავად ამისა, ჯ. პატიაშვილს მაინც ეღება გარკვეული პასუხისმგებლობა იმ მოვლენებისათვის და ამას უნდა შეეჩერებინა იგი პოლიტიკურ ასპარეზზე ხელახლა გამოსვლისაგან, მით უფრო კომუნისტური პლატფორმის წამოყენებით. 9 აპრილის შემდეგ პატიაშვილი ვაჟკაცურად და ღირსებით იქცეოდა, გაერთიანება „თავთავის" ხელმძღვანელობასაც ფრიად სასარგებლოდ ორცილებდა და მისი ამჟამინდელი ქმედება ჩემში უდიდეს გაკვირვებას იწვევს და არ შემიძლია მისი გამართლება. სამწუხაროა, დიდად და დიდად სამწუხარო!

რაც შეეხება პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატებს, მათი არც იდეების, არც პიროვნების სერიოზულად აღქმა არ შეიძლება — ყველასი უკლებლივ — და მე ერთადერთ რეაგირებად მათ საქციელზე მიმაჩნია ქალაქში გავრცელებული ხუმრობის გამეორება: „ღმერთი რომ გაწყრეს, სასწაული რომ მოხდეს და რომელიმე თქვენგანი რომ აირჩიონ პრეზიდენტად, ჩვენ ხომ დავიღუპებით, მაგრამ თქვენ თვითონ რას იზამდით მერე!?" მართლაც, ოდნავი თვითშეფასება ხომ უნდა შეეძლოს კაცს! ან ჭკვიანი ახლობლები მაინც არ ჰყავდათ იმ დალოცვილებს?!

ბოლოს და ბოლოს, გამართლებული და ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა მოსახლეობამ პროპორციულ არჩევნებშიაც, სადაც უდავოდ პროგრესულმა პარტიებმა მოიპოვეს გამარჯვება. სავსებით კანონზომიერია მარცხი და ზოგ შემთხვევაში გამანადგურებელი მარცხი ე. წ. „პარტიებისა", რომლებმაც წინა პარლამენტში ეროვნული მოძრაობის მონაწილე-ხელმძღვანელთა ყალბი შარავანდედით შეაღწიეს და იქ კი მთლიანად გამოამჟღავნეს თავისი უმწიფრობა, პოლიტიკური უსუსურობა და ელემენტარული საერთო უვიცობა. მოსახლეობამ, ამომრჩევლებმა კარგად დაინახეს ამ ე. წ. პარტიათა ლიდერებისა და მათ თანამდგომ ვაიპარლამენტართა ნამდვილი სახე, ზურგი შეაქციეს და არ მისცეს ხმა. იქნებ ჭკუის სასწავლებელი იყოს ეს ზოგთათვის და გაიგონ, რომ მიტინგებში, დემონსტრაციებში მონაწილეობა, პოპულისტური ლოზუნგების სკანდირება არაა პოლიტიკოსობა. არ კმარა დიდის აპლომბით თვითონ უწოდებდე თავს პოლიტიკოსს, საჭიროა შენს პოლიტიკურ განსწავლულობას, ალღოს და უნარს სხვაც ხედავდეს და აღიარებდეს.

და კიდევ ერთი: დარწმუნებული ვარ, რომ ამომრჩეველზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა პარლამენტის ზოგიერთი წევრის მარტო სისულელემ კი არა, მათმა გაუგონარმა უზრდელობამაც. არ შეიძლება აღშფოთების გარეშე ცქერა და სმენა წერეთლის, ხავთასის, მელაშვილის, ჟურიდიას, თამარ ჩხეიძის და სხვათა გამოსვლებისა და მათი კატეგორიული ტონით და უტაქტოდ სხვა დეპუტატთა და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მეთაურის აშკარა შეურაცხყოფისა. ე. შევარდნაძე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ამ გამოხდომებს, თავის ღირსებისათვის შეუფერებლად თვლიდა მათთვის თავის გაყადრებას, მაგრამ საზოგადოება ამით აღშფოთებული იყო. მე ბევრისგან გამიგონია: „შევარდნაძე როგორიც უნდა იყოს, იგი დღეს სახელმწიფოს მეთაურია და მის მიმართ უზრდელი დამოკიდებულება თითოეულ მოქალაქეს, ყველა ჩვენ შეურაცხგვყოფს!" და შედეგმაც არ დააყოვნა! მომავალმა პარლამენტარებმა ეს უნდა გაითვალისწინონ: უმეცრება, ყალბი თავმოწონება არარსებული დამსახურებით და მით უფრო უზრდელობა, დაუსჯელი არ რჩება. აი მიზეზი ამ პოლიტიკურ დაჯგუფებათა მარცხისა და არა რაღაც გამოგონილი დარღვევები არჩევნების დროს. არავითარ სერიოზულ დარღვევებს, საერთო აღიარებით, ადგილი არ ჰქონია და ამ ყალბი მიზეზით სპეკულირება და პროტესტის ნიშნად, ვთქვათ, შიმშილობის გამოცხადება, უბრალოდ სასაცილოა.

დასანანია, რომ ზოგიერთი საკმაოდ პროგრესული და რეალისტური პროგრამის მქონე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დაჯგუფება არჩევნებში ისე დამარცხდა, რომ პარლამენტში თავისი წარმომადგენელი ვერ გაიყვანა. მაგრამ აქ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი როლი მათი ძალების დაქუცმაცებამ შეასრულა. ალბათ, უფრო სწორი იყო, ეს ძალები დარჩენილიყვნენ მოქალაქეთა კავშირში, მის გარშემო დარაზმულიყვნენ და ერთობლივ გამოსულიყვნენ საარჩევნო კამპანიაში. მაგრამ ჩვენ ხომ ხასიათში მოგვდგამს — ყველას გვინდა ლიდერობა, პირველობა და ერთმანეთს ვუპირისპირდებით, იმაზე კი აღარ ვფიქრობთ, რომ საერთო საქმეს ვვნებთ.

რაკილა მოქალაქეთა კავშირზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იმასაც ვიტყვი, რომ ზოგიერთ ე. წ. პოლიტიკურ ჯგუფს და ცალკეულ „პოლიტიკოსსაც" ძალზე წაჩხეული აქვს ენა ამ კავშირის სალანძღავად. არაერთგზის მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ ეს უძლურებით გაბოროტებულ ავისმქმედთა ცილისმწამებლური გამოხდომებია; ასეთი პიროვნებები მოქალაქეთა კავშირში ხედავენ ადამიანებს, რომელთაც სწორად შეაფასეს დესტრუქციულ ძალთა შესაძლებლობა და პოლიტიკოსობა, მათი ანტიეროვნული საქმიანობა, ამხილეს ისინი, მკვეთრად გაემიჯნენ მათ, ორგანიზებულად დაუპირისპირდნენ და არ მისცეს საშუალება თავიანთი ბნელი საქმენი განეხორციელებინათ. სწორედ ეს აღიზიანებს ამ ძალებს და ამხედრებს მოქალაქეთა კავშირის წინააღმდეგ. მე ამ კავშირის წევრი ვარ, მაგრამ სულაც არ ვაიდეალებ მას; უდავოა, მასშიც არიან უღირსი წევრები, ბევრი უვარგისი და შემთხვევითი პირი მიეტმასნა მას; ამ კავშირის რიგებიც გასაწმენდია, მაგრამ ძირითადი ბირთვი აქ ღირსეულ, მაღალგანათლებულ, გამოცდილ და პატიოსან მოქალაქეთაგან შედგება და ტონს ისინი აძლევენ ამ კავშირს. ამიტომაც სწორედ ეს კავშირია მთავარი დასაყრდენი ჩვენი აწ უკვე პრეზიდენტის პროგრესულ და ეროვნულ მოღვაწეობაში და ასეთად დარჩება კიდეც.

ყოველ შემთხვევაში, ანეკდოტურია მოქალაქეთა კავშირს ლანძღავდეს ნებისმიერი რესპუბლიკელთა ბლოკში შემავალი ე. წ. პარტია, ან ილია ჭავჭავაძის საზოგადოების რომელიმე წევრი, ან სოციალ-დემოკრატები.

უდავოდ დიდად მისასალმებელია ბლოკის „აღორძინების" წარმატება. ამ ბლოკის სიით პარლამენტში გასული პიროვნებები აქ სასარგებლო საქმეს გააკეთებენ და, პირველ რიგში, ეს ითქმის ამ ბლოკის ლიდერზე ბატონ ასლან აბაშიძეზე. არაერთგზის მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, რომ ასლან აბაშიძე დღეს ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეა, უაღრესად ალღოიანი, მტკიცე და პროგრესული; რაც მთავარია, ესაა ადამიანი, რომელიც საერთო-ქართულ ეროვნულ საქმეს ემსახურება და უდიდესი წვლილიც შეაქვს ამ საქმეში. მე ამას გაბედულად და გადაჭრით ვამბობ, რადგან ნიშანდობლივ, ადგილზე გაცნობით ვიცი მისი მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი ღვაწლი და ეს ღვაწლი სახელმწიფოს მეთაურსაც არაერთგზის აღუნიშნავს.

არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. ესეც კანონზომიერი მოვლენაა. ეს პარტია უდავოდ სხვა ოპოზიციურ პარტიებზე მაღლა დგას და ყველაზე უფრო უახლოვდება ნამდვილ პოლიტიკურ პარტიას. მე პირადად პატივს ვცემ ამ პარტიის ხელმძღვანელობას და წევრებს და იგი იმდენად მომწონდა, რომ ერთ ხანობას მასში შესვლაც მინდოდა; მაგრამ შემდეგ ცოტა არ იყოს გული გამიტყდა დსთ-ში საქართველოს შესვლის წინააღმდეგ მისი მკვეთრი გამოსვლისა და შეურიგებელი ანტირუსული ტენდენციების გამო. ვფიქრობ, ეს მაინც გარკვეული პოლიტიკური უმწიფრობისა და პოპულისტური ჩვევების რეციდივია. მაგრამ მჯერა, რომ ედპ მომავალ პარლამენტში კონსტრუქციულ, ცივილიზებულ ოპოზიციას შექმნის, რომელიც უდავოდ საჭიროა ნებისმიერი დემოკრატიული პარლამენტისათვის.

არჩევნების უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი დამთავრდა, ჩვენ ავირჩიეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტი... და აი, აქ მე თითქოს მესმის აღშფოთებული ხმები: „როგორ თუ პირველი, ჩვენ გვყავდა პრეზიდენტი!" არც არასდროს და არც ახლა მე პირადად გამსახურდიას პრეზიდენტად არ ვთვლიდი და არ ვაღიარებდი. იგი იყო პრეზიდენტის კარიკატურა, თანაც ბოროტების განმასახიერებელი კარიკატურა.

შეიძლება მითხრან, რაღა დროს ამაზე ლაპარაკია, წარსულს მოვეშვათ, აწმყოსა და მომავალზე ვიფიქროთო. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა, საჭიროა ამ წარსულზე ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ ჩვენ ვხედავთ მეტად შემაშფოთებელ და თანაც აღმაშფოთებელ სიმპტომებს. ე. წ. „ზვიადისტებმა" კვლავ წამოყვეს თავი, საარჩევნო კამპანიის ჩაბმაც კი გაბედეს, ეკრანზე კვლავ გამოჩნდნენ ელიზბარ ჯაველიძე, ირაკლი გოცირიძე და მათთანანი და მეტიც — მუქარასაც კი ბედავენ. მაგრამ ეს არაა იმდენად საგანგაშო, საგანგაშო ისაა, რომ ნაპრეზიდენტალის მომხრეთა ბლოკს საკმაოდ ბევრმა ამომრჩეველმა მისცა ხმა და ისიც სად — თბილისში, თანაც ვაკისა და მთაწმინდის საარჩევნო ოლქებში!!! ამაზე სამარცხვინო შეიძლება იყოს კიდევ რამე?! თბილისელებო, მთაწმინდელებო, ვერელებო, ვაკელებო, რას ფიქრობთ, ნუთუ ყველაფერი დაივიწყეთ?!

ქვეყნის ეკონომიკის მოშლა და ფაქტობრივი დანგრევა, ხელისუფლებისაკენ დამნაშავე კრიმინალური ელემენტებისათვის გზის გაკვლევა, ერის ერთიანობის დარღვევა, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა და სოციალურ ჯგუფთა ურთიერთგადაკიდება, ერის გონებრივი და შემოქმედებითი ელიტის დევნა, რუსთაველის პროსპექტის, თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე უბნების დანგრევა, აფხაზეთის ამბები, სეპარატისტების ფარული ხელშეწყობა, ჩვენი აფხაზეთში მარცხის სრულიად აშკარა ორგანიზება, სამხრეთ ოსეთის დაკარგვა, გამსახურდიას მეგობრობა დუდაევთან, რომელმაც მკვლელ ბოევიკთა რაზმები შემოგვესია, კობალიას ღალატის შედეგად სოხუმის დაცემა, გამსახურდიას დალოცვითა და ბრძანებით ლაშქრობა სამეგრელოდან ქუთაისის მიმართულებით და მძიმე სისხლისღვრა... აი არასრული ნუსხა გამსახურდიას და მის დამქაშთა ნამოქმედარისა. ნუთუ ეს ყველაფერი დავიწყებულია?!

კიდევ ერთხელ ვამბობ: მოქალაქეთა კავშირის წევრი ვარ, მაგრამ ვერაფრით დავეთანხმები ჩვენი კავშირის გენერალურ მდივანს ბატონ ზურაბ ჟვანიას, რომელმაც ამასწინანდელ სატელევიზიო გამოსვლაში მოუწოდა გაერთიანებისა და შერიგებისკენ. რასაკვირველია, შერიგება და ერის გაერთიანება აუცილებელია და ესაა ერთ-ერთი პირველი ამოცანათაგანი, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, მაგრამ ნებისმიერ ძალასთან, ნებისმიერ დაჯგუფებასთან, ნებისმიერ პარტიასთან შერიგება შეიძლება, ხოლო იმათთან, ვინც დღესაც „ზვიადისტად" რჩება, ეს გამორიცხული უნდა იყოს. ჩვენში კი ზოგიერთები რაღაც სულგრძელობის, შინდობისა და გაერთიანებისკენ მოგვიწოდებენ. ამის საპასუხოდ, ნაპრეზიდენტალის მომხრეები იმდენად გათავხედდნენ, რომ კვლავ ქუჩაში გამოსვლითა და არსებული წყობილების დამხობით იმუქრებიან. მგონი დაგვავიწყდა, რომ არც ერთ თემურ-ლენგს, არც შაჰ აბასს, არც სტალინს, ორჯონიკიძეს თუ ბერიას ისეთი საშინელი უბედურება ჩვენი ერისთვის არ მოუტანია, როგორც გამსახურდიას რეჟიმს. ამის დავიწყება ერის წინაშე დანაშაული, მკრეხელობა იქნება!

ჩვენ ავირჩიეთ პირველი ჭეშმარიტი პრეზიდენტი, პარლამენტშიც უპირატესად პროგრესული ძალები აღმოჩნდნენ შესული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხელისუფლება გააგრძელებს სასიკეთო კურსს და შედეგსაც მივიღებთ. მაგრამ იმის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ხელისუფლება ზედმეტ მიმტევებლობასაც დაანებებს თავს და დამნაშავეთა სამყაროს უფრო გაბედულად შეუტევს, ხოლო ამ სამყაროში მხოლოდ ქურდები, ავაზაკები და რეკეტიორ-გამომძალველები კი არ შედიან, არამედ ისინიც, ვინც პოლიტიკურ ბრძოლას ამოფარებულნი, ხალხს კვლავ ქუჩური ბრძოლით ემუქრებიან. ღმერთმა დამიფაროს, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ან მრწამსის პიროვნებათა მიმართ რეპრესიები მოვითხოვო ან რეპრესიებს მივესალმო, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ — ვინც დღეს, როდესაც ხალხმა ცოტა სული მოითქვა, როდესაც გამსახურდიას რეჟიმის საშინელ რეციდივებს თანდათან ვძლევთ, როცა იმედის სხივი გამოკრთა ჩვენი ერის ცაზე, კვლავ მიტინგების, ქუჩაში გამოსვლისაკენ მოგვიწოდებს, ის პოლიტიკური მოწინააღმდეგე, განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის ადამიანი კი არაა, არამედ ბოროტმოქმედი, საერთოდ ყოველგვარ მრწამსს მოკლებული ბოროტმოქმედი და მას სახელმწიფო როგორც ბოროტმოქმედსა და დამნაშავეს უნდა გაუსწორდეს. სხვაგვარად ჩვენი შველა არ იქნება.

ნოდარ ლომოური.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ჯანსულ ჩარკვიანი

შური

ჩემი ბედი და ყისმათი
შემშურდება ვისაც,
შემშურდება ვისაც ბედი,
ჩემი მიწა-წყლისა,
ვისაც ჩემი სახლ-კარი და
ჩემი ეზო უნდა,
ვისაც თავის არა ჰყოფნის,
ჩემსას ტირის მუდამ.
ვისაც ღამით ესიზმრება
ოქრო-ვერცხლი ჩემი,
ჩემი შავი მანქანა და
ჩემი თეთრი გემი,
მიეც, ჩემო სიხარულო, —
უდარდელი ყოფა,
ჩემი სასახლენი მიეც
ქალაქად და სოფლად.
ღმერთო, მიეც ყველაფერი
გამაჩნია რაც კი,
არც მეტი და არც ნაკლები, —
სასამართლო დასკვნით.
მიეც, მხოლოდ ჩემი ბედი,
სხვისი არა, ჩემი,
ჩემი შავი მანქანა და
ჩემი თეთრი გემი.
ისიც ჩემებრ გაამდიდრე,
გაუქარვე წყენა,
მარა, არც მე მაპატიო,
ეს კრულვა და წყევლა.

ადამ და ევა

ორ დღეს შუა რომ გაგიბამს,
იმ ჰამაკში ვწევარ,
ორი დღე ხარ,
ორ დღეს შორის,
ერთი ღამე მე ვარ,
მე ერთი ვარ,
ადამი ვარ,
შენ ორი ხარ — ევა!

ქართული ვარიანტი

ბერბიჭაშვილო,
ისევ შენმა დღემ დაგიღამა,
რაც მოგცა ღმერთმა
ის სიკვდილიც შეგარგო შხამად.
ჩემს სასთუმალთან
სისხლიანი ჰკიდია ყამა,
მამას კლავენ და
არ იციან ვინ არის მამა.

ლოდინი

გუშინ, გუშინწინ,
დღესაც და ხვალაც,
მაშინაც, როცა
ერთურთს ხოცავენ,
მე ველოდები
ახლა იმ ღალატს,
რომელიც შემძრავს
სულით ხორცამდე.

ირონიული ლექსი ია მაჭავარიანს!

იცით მიმკობ
სიტყვებს ამაზრზენს,
მწერ, რომ არ მოხვალ
ჩემს დაკრძალვაზე.

ვინ სად წასულა
ნეტა ძალაზე?
მეც აღარ მოვალ
შენს დაკრძალვაზე.

„ვაჰ, დრონი, დრონი"...

დღეს ყველაფერი
ელიტარულ-პრესტიჟულია,
ჭეშმარიტება ღმერთია და
ღმერთი — რჯულია.

ახალგაზრდები გამოღმიდან
გაღმა გვიცქერენ,
გალაკტიონის სალამოზეც
აღარ გვიწვევენ.

ფილარმონიის დიდ დარბაზში
გრიალებს „მანა",
სანამ არ გიხმონ,
არაფერი გეტკინოს მანამ.

„ვაჰ, დრონი, დრონი",
ყველაფერი გავაბითურეთ,
იქნებ, აღარ ვართ?
იქნებ, უკვე ვგავართ ფიტულებს?

ყველაფერს ამას
წინაპრების ჩავთვლი არცნობად,
სასაცილოა —
სიბერეც და უმაწვილკაცობაც.

ნუ გეწყინება, სულო ჩემო —
სულო დამცხრალო,
ბიჭო, ეგ ყანწი მომაწოდე —
უნდა დავცალო....

მარიამ კნიაზიანს — უდროოდ წასულ მეგობარს!

მიძინებულ მარიამს
გამყვა შენი ფიქრები,
შენც, დღეს მარიამობის, —
მარიამთან იქნები.

როგორც ჰია-მარია,
ისე სუფთად ცხოვრობდი,
ნეტავი არ გაგეცლოდი,
ნეტა დიდხანს გვყოლოდი.

შენი სული ოთახებს
სითბოვით დაიარს,
ჩემო კარგო მარიამ —
ჩემო კარგო დაია.

რას უშლიდი ქვეყანას,
ანდა, ახლა რას უშლი?
მართლა ძაან მიყვარდი,
დიახ, უკვე წარსულში.

ღვთისმოსილისწილ მიწაზე,
ვიცი, მაგრა იწვალე,
აუგი არ გითქვია,
ისე გარდაიცვალე.

მიძინებულ მარიამს
გამყვა შენი ფიქრები,
შენც, დღეს მარიამობის,
მარიამთან იქნები .

საუბისო

თემო ჩირგაძეს — თბილისის
საპატიო მოქალაქეს

ჩირგო, ჭიგარო,
ვენაცვალე მე შენს ბიჭობას —
მთელი ცხოვრება იბრძვი
მტრობას
და უნიჭობას.

როგორც წესია,
უნიჭოა ყველა მტერიო,
უნიჭო მტერს კი
ვერ უშველის ვერაფერიო.

უნიჭო მტრებიც ჩამოთვალე
საქართველოში,
იცი, რას გეტყვი? —
ჩვენი ძმობის ხარ ანგელოზი...

სავსე ნაღველით,
მაგრამ მაინც სავსე ხალისით,
შენი თბილისით,
შენი მცხეთით და ქუთაისით.

შენი გურამით —
ესეიგი, ასათიანით.
შენი სუფრისთავს შეძახილით —
ლაზათიანით.

სავსე ხარ ნიჭით,
ვერასოდეს ვერ მტრობ ვერავის,
როგორც შენს ძარღვში,
ამ ლექსშიაც დუღს საფერავი.

1995 წელი, თბილისი, „სულის" სუფრასთან.

ირაკლი აბაშიძეს

(საუბისო)*

ვაი, რომ დაგრჩა ყანა შენივ
მზის მოსამკელი,
შენი თაობის პირველ მგოსანს,
ბოლო მომკანს,
რა ვიცი, იქნებ, დარბაზშიც ზის
ის შენი მკვლელი,
ვინც ერთი სიტყვით, შხამიანით,
გული მოგიკლა.

შენ ახლაც შენი საქართველოს
უღელი გადგას,
შენი განვლილი სევდიანი
უდაბნოეთი,
რაც შეიძლება, დროზე კლავენ
პოეტებს, რადგან
დიდ პატივშია ჩვენს მამულში
მკვდარი პოეტი.

---

* ლეჩხუმში უცებ ნათქვამს სადღეგრძელოს, „ექსპრომტს" კი არა, „საუბისოს" ეძახიან.

დოდო როინიშვილს!

სალამი დოდო როინიშვილს,
გომართლის დოდოს,
იქნებ, დრო დადგა,
სიკვდილამდე მიტირო ცოდოს.

მე შენი დიდი იმედი მაქვს —
დისა და რძლისა,
ისე, ვით ჩემი უძველესი
ვაჟკაცი ძმისა.

დრო დადგა შოვნის,
ცრემლისა და შოვნის ხმარის,
გზების პოვნისა —
რუსთველის და მეფე თამარის.

და მა, მივდივარ, გულმოკლული,
ლაბვარსობილი,
მე ჩემს თავსა ვცნობ,
არავისთვის არ ვარ ცნობილი.

მძაგდა იღბალი და დიდება
ქარქაშოსანის,
სთქვი, რომ სისხლიან სიხარულში
გაქრა მგოსანი.

1995 წ. აგვისტო-ნოემბერი.

ზეიმი

„ფაზის-ქალაქობა"

ფოთში განახლდა სახალხო ზეიმი „ფაზის-ქალაქობა". იმ დღეს მასპინძლებმა და დღესასწაულზე ჩამოსულმა სტუმრებმა პატივი მიაგეს და გვირგვინით შეამკეს სახელოვანი წინაპრის ნიკო ნიკოლაძის ძეგლი და გრიგოლ კოკაიას დიდების მემორიალი.

გაიხსნა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ქვანიას მემორიალური ბარელიეფი. სახალხოდ აღინიშნა ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის ქალაქის იერუსალიმის სახელის მინიჭება.

ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო საღამო. აქ ფოთის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს საქართველოს სახალხო არტისტები რამიშვილი, სოფიკო ჭიაურელი, ცნობილი ქართველი ლიტერატორი, პროფესორი აკაკი ფურია, ქართველ ებრაელთა დიასპორის წარმომადგენელი, ბიზნესმენი და ქველმოქმედი შოთა მეგრელიშვილი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი გერონტი ლეიშვილი, ალმანახ „თანამედროვის" მთავარი რედაქტორი ჯემალ ჩახავა. ფოთის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი პეტრე ბერაია, ნიკოლაძის ფონდის დირექტორი რომან მელია, ფოთის მოყვარეთა კლუბ „ლიდერის" პრეზიდენტი ზურაბ ტიბუა, საქართველოს სახალხო არტისტი ბორის ფურია.

საღამო დაამშვენა ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ეროვნული ბალეტის კონცერტმა.

დასასრულ, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აინთო საზეიმო ფეიერვერკი — კოცონი.

იოსებ გოგეჩია,
„ხრ" საკ. კორ.

„სანამ ცოცხლები ვართ"

„სიგრძე და განი... ზემო და ქვემო..."

ადამიანის სიცოცხლე, თუნდაც წუთიერი და ხანმოკლე, უგანზომილებოა. მაგრამ თუ კი ზენაარსი ბედის ვარსკვლავს დაგანათლავს და საწუთროს ავ-კარგს ხანგრძლივად გაზიარებს, მაშინ ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებასაც ფასი აქვს.

ასეთ ბედის ვარსკვლავზე იყო დაბადებული ირაკლი აბაშიძე. 23 ნოემბერს მას 86 წელი შეუსრულდებოდა. რა ბედნიერი იქნებოდა, დღევანდელ მეტ-ნაკლებად დამშვიდებულ და დაწყნარებულ ქვეყანას რომ მოსწრებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ოთხიოდე წლის წინათ სრულიად ჯანმრთელი, საღ-სალამათი მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან ისე, რომ გადამწვარი თბილისის ათასი ფუთი ტკივილი და ნაღველი თან გაიყოლა.

ოცდაექვსი წელიწადი ვიმუშავე ბატონ ირაკლისთან ქართული ეროვნული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციაში სამეცნიერო რედაქტორად, უფროს სამეცნიერო რედაქტორად, რედაქციის გამგედ.

ბატონ ირაკლისთან სიახლოვეს ბევრი რამ ასაზრდოებდა: სამსახურებრივი ურთიერთობა, ოჯახური გარემო, ე. წ. „ლირიკული გადახვევები" ბუნების წიაღში: კალმახზე თევზაობა არაგვისა და ქსნის ხეობებში, „ქინვალობის" დაუვიწყარი შეხვედრები მის უახლოეს მეგობრებთან ერთად და სხვ.

ირაკლის სულიერ სამყაროსთან მისვლა და მისი ფიქრებისა და განცდების შეცნობა არც ისე ადვილი იყო. ყველას როდი უღებდა გულის კარს. ერთი შეხედვით ყოველთვის მშვიდი, მომხიბლავი იყო. ეს ერთი შეხედვით, მაგრამ თუ ღრმად ჩახედავდი თვალებში, შეამჩნევდი, რომ მის განუმეორებელ ღიმილსა და იუმორში უზარმაზარი სევდა და განცდა იყო ჩაბუდებული, სევდა — ქვეყნისა და სამყაროს უცნაურ ფერისცვალებაზე, სევდა — ადამიანსა და ადამიანურობაზე.., უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. არასდროს ყოფილა კოსმოპოლიტი, მაგრამ არც — კარმოხურული „ოდენ ქართველისტი". მის ამაღლებულ სულში საკაცობრიო ტკივილი დუღდა...

მისი პოეტური შიგთავსი ყველაზე მეტად ბუნების წიაღში ვლინდებოდა. უნდა გენახათ ბატონი ირაკლი არაგვისა და ივრის ნაპირებთან, ახლადდაჭერილი დაწინწკლული კალმახით ხელში. ანდამატივით მიმზიდველი, სათნო, კეთილი, ფიქრიანი თვალებით მზირალი საოცრად ლამაზი იყო, აისბერგად ილანდებოდა მწვანედ ატეხილ ჭალების ფონზე.

ბატონ ირაკლისთან ჩემი ახლოს ყოფნა (ამის შესახებ უფრო ვრცლად სხვა დროს) ერთმა გარემოებამაც განაპირობა. შინიდან ენციკლოპედიამდე და ენციკლოპედიიდან უკან ფეხით სიარული უყვარდა. ერთხელ შიდა ტელეფონით დამირეკა: „ჩამოდი ჩემთან (მისი სამუშაო კაბინეტი მეორე სართულზე იყო, ჩემი რედაქცია — მეოთხეზე), ფეხით გავუყვეთ სახლამდე". ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ერთობლივ „მოგზაურობას" ენციკლოპედიის რედაქციიდან ბარნოვის 122-მდე. თუ არ ვცდები, მაშინ 1969 წლის ოქტომბრის დასაწყისი იყო. იმ დღეს ერთობ კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა, ბევრს ხუმრობდა. ხელში განუყრელი ქარვისფერი კრიალოსანი ეჭირა და ნაბიჯებს კრიალოსანით ითვლიდა.

ასეთი „სეირნობა" ოთხასოთხმოცდაექვსჯერ შედგა.

ბოლოს 1992 წლის 9 იანვარს შევხვდი. 14 იანვარს კი გარდაიცვალა.., სწორედ ეს ბოლო შეხვედრა მინდა მოვიგონო ამჯერად.

1 იანვარს ტრადიციულად დავურეკე სახლში და ახალი, 1992 წლის შემობრძანება მივულოცე. გაეხარდა, მაგრამ ხმაში ბზარი შევატყვე: „ორი კვირა სახლში არ ვყოფილვარ, ვიმალებოდი, ახლა დავბრუნდი ქალაქში, რა ნახა ჩემმა თვალებმა... გამოიარე ენციკლოპედიაში ცხრაში".

9 იანვარს ენციკლოპედიაში გამოვცხადდი (მაშინ 0,5 შტატზე ვმუშაობდი და ყოველდღიური მისვლა არ მიწევდა). დღის 12 საათი იქნებოდა, თოვლიანი, მზიანი დღე იდგა. ეზოში შევხვდით ერთმანეთს. გვერდით აწ განსვენებული სიმონ (სისო) კინწურაშვილი ედგა. საოცრად გულდაკოდილი, მოწყენილი, მისთვის უჩვეულო ტონით ეუბნებოდა სიმონს: „არ მასვენებდნენ ეს ვიგინდარები, დღედაღამ მირეკავდნენ სახლში, მიქელ-გაბრიელმა არ მოგაკითხაო? განსაკუთრებით გურამ პეტრიაშვილი აქტიურობდა. იძულებული გავხდი სახლიდან გავქცეულიყავი".

ოცდაექვსი წლის მანძილზე ამნაირი ირაკლი არ მენახა. გარეგნულად თითქოს ყველაფერი ნორმალურად ჩანდა: „თავს კარგად ვგრძნობ, ერთი შუშა ღვინის დალევაც მოვასწარი ახალწლის ღამესო". მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდი, მის გამოხედვაში რაღაც არაადამიანურ, შეუცნობ ტკივილს იგრძნობდი. გავუყევით გზას ბარნოვის ქუჩისაკენ. სიმონ კინწურაშვილი მალე ჩამოგვცილდა. ვაკის პარკის კიბეები ჩავათავეთ თუ არა, ბატონი ირაკლი შეჩერდა და აღელვებული ხმით წარმოთქვა: „ერთადერთი კაცი, ვინც ახლა საქართველოს გადაარჩენს, ედუარდია, ხვალ ან ზეგ უნდა დავურეკო ბიჭებს — ჯანსულს, სხვებს, უნდა წავიდეს მოსკოვში შევარდნაძესთან მოსალაპარაკებლად. ზურაბთან და ვახტანგთან ერთად (თავის ვაჟებს გულისხმობდა), ხვალ უნდა გავიდე რუსთაველზე, დავათვალიერო, რა ჩაიდინეს ქართველმა „რაინდებმა"...

ვთხოვე, შევევედრე არ წასულიყო ჯერ კიდევ სისხლშეუმშრალ, ყუმბარებით გადათხრილ და ტყვიებით დაცხრილულ თბილისის ცენტრში.

ჩონჩხადქცეულ რუსთაველზე მისი „გასვლა" მაინც შედგა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა პოეტისათვის...

ეს ჩვენი უკანასკნელი, ოთხასოთხმოცდამეექვსე „გასეირნება" იყო ენციკლოპედიიდან ბარნოვის 122-მდე.

დღეს მას 86 წელი შეუსრულდებოდა, საკრალური რიცხვია 86, არა?

.., განისვენებს პოეტი დიდუბის პანთეონის შესასვლელის მარცხენა კედლის კუთხეში. ვიწროდ, მიუსაფრად, მისივე პოეტური სტრიქონებით რომ ვთქვათ: „სიგრძე და განი.. ზემო და ქვემო..."

ეკუთვნის კი დიდ პოეტს, ქართული ენციკლოპედიის და სხვა მრავალ ეროვნულ საქმეთა შემოქმედს, ასეთი რამ? ეს ახალმა საქართველომ და ხელისუფლებამ განსაჯონ!

გურამ მეტრეველი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ყოფილი გამგე.

1995 წლის 22 ნოემბერს შედგა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სესია, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	0.9287	ლარი
ავსტრიული შილინგი	0.1271	ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1.9600	ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0.4353	ლარი
გერმანული მარკა	0.8944	ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0.7985	ლარი
დანიური კრონი	0.7985	ლარი
1000 იტალიური ლირა	0.7918	ლარი
კანადური დოლარი	0.9281	ლარი
ნორვეგიული კრონი	0.2026	ლარი
აშშ დოლარი	1.2580	ლარი
ფინური მარკა	0.2990	ლარი
ფრანგული ფრანკი	0.2594	ლარი
შვედური კრონი	0.1899	ლარი
შვეიცარული ფრანკი	1.1053	ლარი
10 იაპონური იენი	0.1239	ლარი
ეკიუ	1.6351	ლარი
10 ესპანური პესეტა	0.1041	ლარი
100 ბერძნული დრაქმა	0.5397	ლარი
ირლანდიური გირვანქა	2.0168	ლარი
10 ისლანდიური კრონი	0.1957	ლარი
ქუვეიტური დინარი	4.1982	ლარი
1000 ლიბანური გირვანქა	0.7861	ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0.8529	ლარი
სინგაპურული დოლარი	0.8913	ლარი
10 000 თურქული ლირა	0.2385	ლარი
ეგვიპტური გირვანქა	0.3698	ლარი
1000 რუსული რუბლი	0.2500	ლარი
ლიტვური ლიტი	0.2836	ლარი
ლატვიური ლატი	2.0812	ლარი
10 ესტონური კრონი	1.0081	ლარი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი	0.6355	ლარი
10 ყაზახეთის ტენგე	0.1795	ლარი
მოლდავეთის ლეი	0.2501	ლარი
ყირგიზეთის სომი	0.1044	ლარი
10 000 ბელორუსიის მანეთი	1.0375	ლარი
10 უზბეკეთის სუმი	0.3356	ლარი
1000 აზერბაიჯანული მანათი	0.2525	ლარი
100 სომხური დრამი	0.2805	ლარი

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა.

ეროვნული

ინფორმაცია

საზღვარი იხსნება

25 ნოემბერს, ფაქტობრივად იხსნება საქართველო-თურქეთის საზღვარი ახალციხის რაიონში, ამოქმედდება საბაჟო-გამშვები პუნქტიც.

საბაჟო დეპარტამენტი.

შეიქმნა ეროვნული ბანკის ახალი განყოფილება

დღითიდღე იზრდება ფოთის მნიშვნელობა ქვეყნის მასშტაბით, ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით ფოთში საქართველოს ეროვნული ბანკის განყოფილების გახსნა. ახალი ბანკის გახსნით საგრძნობლად გაუმჯობესდება ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ, ბანკთაშორისი საანგარიშსწორებო ოპერაციების ოპერატიულობა.

იოსებ გოგეჩია,
„სრ" საკ. კორ.

საქართველოს პედაგოგები გადაარჩენენ

ეს აზრი გასდევდა წითელ ზოლად რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ მამია დარჩიას შეხვედრას ზუგდიდის, წალენჯიხისა და ხობის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა განათლების კონცეფციაზე, გულისტკივილით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარლამენტს დღემდე არ უმსჯელია განათლების საკითხებზე.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ" საკ. კორ.

საქართველოს მედიცინა მსოფლიო გაერთიანებაში

სტამბულში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო კონფერენციამ თემაზე: „ჯანმრთელობის დაცვისა და ფარმაცევტიკის საკითხები შუა აზიის, ამიერკავკასიისა და თურქეთის რესპუბლიკებში". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ თურქეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროთა, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, საბერძნეთის, უნგრეთის, ნიდერლანდის, ინდოეთის, სხვა ქვეყნების სამედიცინო სამსახურების წარმომადგენლები. სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს და შეიმუშავეს ზომები იმისათვის, რომ საქართველომ უფრო ფართოდ განავითაროს საკუთარი ფარმაცევტული მრეწველობა, რისი კარგი შესაძლებლობებიც მას აქვს და შევიდეს მსოფლიო ბაზარში.

„ორგტექნიკა" ფრთებს შლის

მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, კოსტრომა, კიევი, ხარკოვი — აი, არასრული ნუსხა იმ ქალაქებისა, სადაც გზავნის თავის პროდუქციას სოხუმის სააქციო საზოგადოების „ორგტექნიკის" კოლექტივი, რომელიც დროებით ქუთაისში მოქმედებს, მისი ფილიალები კი გახსნილია თბილისში, ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, ხობში. დღეს მის საამქროებში მარტო ფლომასტერებსა და ბურთულიან ავტოკალმებს როდი ამზადებენ, რომლებსაც დიდი მოთხოვნით სარგებლობენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში. დიდი ხანი არ არის, რაც საწარმოს მუშა-მოსამსახურეებმა განაახლეს სამდინარო გემების სამართავი აპარატების გამოშვება, შეიმუშავეს სოფლის რაიონებისათვის განკუთვნილი მინი-ელექტროსადგურების ასამოქმედებელი ქარის აგრეგატების ტექნიკური პროგრამები, საყოფაცხოვრებო პირობებში მეთანის გაზის მისაღები დანადგარები. ამ ცოტა ხნის წინათ კი „ორგტექნიკამ" საექსპლოატაციოდ მიიღო საქსოვი და სამკერვალო დაზგები, დაარსა საკასო აპარატების გამომშვები ერთობლივი საწარმო.

კულტურა

გურნეის პარკი ქართველებმა დაიპყრეს

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი" მხოლოდ რვა წლისაა. ამ ხნის განმავლობაში ღვაწლმოსილი ქორეოგრაფების ნუნუ ღვინერიასა და ჯემალ რეხვიაშვილის თავდადებული პედაგოგიური ღვაწლისა და დაუღალავი შრომის შედეგად ორმოცდაათი ბავშვი ჭეშმარიტი პროფესიონალიზმის საფუძვლებს ეზიარება. დღეს ანსამბლი რესპუბლიკისა და საკავშირო ოლიმპიადების მრავალგზის ლაურეატია, ი. სუხიშვილის პრიზისა და ნ. რამიშვილის გარდამავალი პრიზის მფლობელია. მათ არაერთხელ ასახელეს საქართველო საზღვარგარეთ.

ერთი წელიწადია, რაც ანსამბლის დირექტორია ალეკო ლორთქიფანიძე. ამ მოკლე ხანში მან მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა ანსამბლისთვის. ამას წინათ მისი მონდომებითა და კავშირებით ანსამბლის ოცდაერთი მოცეკვავე ამერიკაში, ილინოისის შტატის ქალაქ გურნეიში გაემგზავრა საგასტროლოდ. ერთი შეხედვით აქ უჩვეულო არაფერია, თუ არა ის, რომ ეს პირველი შემთხვევაა როცა ასე ხანგრძლივი დროით — ასდღიანი კომერციული გასტროლით იმოგზაურეს ქართველმა მოცეკვავე ბავშვებმა.

გასტროლებმა ამერიკაში ნამდვილი ტრიუმფით ჩაიარა — კონცერტები ყოველ დღე გურნეის პარკის „6 დროშა დიდი ამერიკისა" 2500-კაციან საკონცერტო დარბაზში იმართებოდა, რომლის შესასვლელშიც საქართველოს და ამერიკის დროშები ფრიალებდა. ქართველების გასტროლებს აღფრთოვანებით გამოეხმაურა იქაური პრესა, მათ მოცეკვავე ბავშვების კონცერტი „პატარა ვირტუოზების არისტოკრატიულ შოუდ" მონათლეს. ქართული პროგრამა ამერიკელებმა 1995 წლის სეზონის ნომერ პირველ შოუდ აღიარეს.

ამერიკელი იმპრესარიოს დონ ჰიუზის საოცარ გულისხმიერებას და ყურადღებას ქართული ანსამბლის მიმართ, მოცეკვავე ბავშვების ნიჭიერებით აღფრთოვანება განაპირობებდა.

ახლა ანსამბლი „იმედი" თბილისშია და მაროკოში, საფრანგეთსა და ესპანეთში მორიგი საგასტროლო ტურნესთვის ემზადება.

ვფიქრობთ, მშვენიერი საბავშვო ანსამბლი „იმედი" ისევ წარმატებებს მოიპოვებს და უცხოეთში კვლავაც გააღვივებს ინტერესსა და სიმპათიას საქართველოს მიმართ.

ლელა დონაძე.

წმინდა მოწამეთა სახელის უკვდავსაყოფად

ჩვენი ქვეყნისათვის ამ მძიმე ჟამს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა თაობის სულიერ ამაღლებას და განწმენდას. ცნობილია თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვა ათწლეულების განმავლობაში დანერგილ ათეისტურ მორალს. ძალზე სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენს სკოლებში კვლავ აღდგა რელიგიური განათლება.

ახლა სულ უფრო მეტი ქართველ წმინდანთა და წამებულთა სახელობის ეკლესია შენდება. ერი პატივს მიაგებს თავის ისტორიას, რომელიც განუყრელია მართლმადიდებლური სარწმუნოებისაგან.

ჩვენი წინაპრების სარწმუნოებრივი სიმტკიცის მაგალითად ისტორიამ შემოგვინახა ცხრა კოლაელ ყრმათა თავდადების ამბავი, რომლებმაც უფლისა ჩვენისა, მაცხოვრის სიყვარულით თავი შესწირეს ქრისტიანულ რწმენას.

ამ შემთხვევის შემდეგ საუკუნეები გავიდა და დღეს თბილისის ვაზისუბნის დასახლების 157-ე საშუალო სკოლის ეზოში მასწავლებელ მარინე ჯიბლაძის და მოსწავლეების ინიციატივითა და ძალისხმევით არქიტექტორ რევაზ ჯანაშიას პროექტის მიხედვით საფუძველი ეყრება ცხრა კოლაელ ყრმათა სახელობის კარის ეკლესიას, რომელიც შენდება საზოგადოების შემოწირულობით.

სკოლის ანგარიშზე სააქციო კომერციულ „საქართველოს ბანკში" ისნის რაიონში — გახსნილია ანგარიში №000701.07.

დაე, მისაბაძი ყოფილიყო! 157-ე საშუალო სკოლის მასწავლებელთა, მოსწავლეთა ეს კეთილშობილური ინიციატივა.

გულიკო ვაშაკიძე,
გიორგი ცქიფურიშვილი,
საქინფორმის კორ.

კიდევ ერთი წიგნი საქართველოს გასაცნობად

საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა 1995 წელს თბილისში მოამზადა და გერმანიაში ინგლისურად გამოსცა ფერადი სარეკლამო ბროშურა — „საქართველო ციფრებში, 1994". იგი ძირითადად განკუთვნილია საქართველოთი დაინტერესებულ ინგლისურენოვან მკითხველისთვის, ფართო საზოგადოებრიობისთვის და კომპაქტურად, მაგრამ საფუძვლიანად აცნობს მკითხველს საქართველოს.

ბროშურაში მოკლედ არის განხილული საქართველოს ისტორია. ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო და ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. წიგნში ასევე მოცემულია საქართველოს გეოფიზიკური მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები, მისი მინერალური და ბუნებრივი სიმდიდრეები.

წიგნში მოკლედ არის განხილული საქართველოს ძირითადი სიმდიდრეები. ჩვენთან საუკეთესო პირობებია სოფლის მეურნეობის, კვების, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის განვითარებისთვის. ამ დარგების ასაღორძინებლად საქართველოს საკმაოდ [illegible] ინჟინერ-ტექნიკური კადრები ჰყავს.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ზომიერი კლიმატი ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის...

ბროშურა საქართველოთი დაინტერესებულ ბიზნესმენებს, მკვლევარებს, საზოგადოებას კარგ სამსახურს გაუწევს.

თამარ სალუქვაძე.

გაეცანით სამთავრობო ნორმატიულ დოკუმენტებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებული სამთავრობო ბიბლიოთეკა რესპუბლიკის, დედაქალაქის საქმიან წრეებს, ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, მეცნიერებს და ფართო საზოგადოებრიობას, გთავაზობთ, მიიღოთ ინფორმაცია აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ, კერძოდ, კი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის ოქტომბრის თვეში მიღებულ მთელ რიგ ნორმატიულ დოკუმენტებზე, მათ შორის: **„ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის გაანგარიშების ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ"; „საქართველოს რესპუბლიკის აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ დროებით დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"; „საპრივატიზაციო ბარათების მიმოქცევისა და დაფარვის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ"; „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძვირფასი ქვების ოპერაციების წარმოების, ვაჭრობის, მომსახურების და მათი კონტროლის სფეროებში საქმიანობის მოწესრიგების შესახებ"; „საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვებისა და საავიაციო სატრანსპორტო პროცესებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ლიცენზირების შესახებ"; „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის გადასახადების აკრების, შემოსავლის აღრიცხვის, კონტროლისა და მიზნობრივი გამოყენების წესის შესახებ"** და მრავალი სხვა.

დაინტერესებულ პირს, ვისაც სურს, გაეცნოს ზემოთ აღნიშნულ და სხვა სამთავრობო ნორმატიულ დოკუმენტებს, შეუძლია მიაკითხოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ სამთავრობო ბიბლიოთეკას ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 24, ტელ.: 23-51-35.

რესპუბლიკის მოსახლეობის, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების და საწარმოების ხელმძღვანელების საყურადღებოდ!!!

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო გაცნობებთ, რომ რესპუბლიკის მოსახლეობას, სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს ერიცხებათ საქალაქთაშორისო და ადგილობრივი სატელეფონო კავშირებით სარგებლობისათვის მნიშვნელოვანი ოდენობით დებიტორული დავალიანება, რის გამოც კავშირგაბმულობის საწარმოებს შეექმნათ მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კავშირგაბმულობის სამინისტრო მიმართავს მითითებული კატეგორიის აბონენტებს თხოვნით, 1995 წლის 5 დეკემბრამდე დაფარონ საქალაქთაშორისო და ადგილობრივი სატელეფონო ქსელების სარგებლობისათვის მათზე რიცხული დებიტორული დავალიანება. **წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეუწყდებათ სატელეფონო კავშირებით მომსახურება და მოეხსნებათ ტელეფონები მათი აღდგენის უფლების გარეშე, ხოლო თანხები ამოღებულ იქნება კანონით დადგენილი წესით.**

საქალაქთაშორისო და ადგილობრივი სატელეფონო კავშირებით სარგებლობისთვის რიცხული დებიტორული დავალიანების თანხების დასაზუსტებლად, გთხოვთ მიმართოთ კავშირგაბმულობის შესაბამის ადგილობრივ საწარმოებს.

კავშირგაბმულობის სამინისტრო.

ყურადღება!

ვაქვეყნებთ იმ მოქალაქის მონაცემებს, რომელმაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართა განცხადებით, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე:

1. მულიგინა რაისა ნიკოლოზის ასული, მცხ. ქ. რუსთავი, მე-15 მ/რ, სახლი 16, ბინა 118.

მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს, აქვს ქონებრივი ვალდებულებანი, ან შეუსრულებელი მოვალეობები, ვთხოვთ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება, სააღსრულებლო ფურცელი და სხვა.

მისამართი: 380092, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო. ტელ: 99-67-98, 99-08-44, 99-05-28, 98-42-91.

ამინდი

23 ნოემბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, მაღალ მთებში თოვლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 5-10, დღისით 8-13, მთაში ღამით 2-7, დღისით 4-9, მაღალ მთებში — ღამით —2 +3, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში — წვიმა, ტემპერატურა სამივე ქალაქში — ღამით 8-10, დღისით 11-13 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, მთებში თოვლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 2-7, დღისით 12-17, მთებში — ღამით 0-5, დღისით 9-11, მაღალ მთებში — ღამით —2 +8, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

ბორჯომის ხეობასა და სამცხე-ჯავახეთში — ღამით 0-5, დღისით 9-14, მაღალ მთებში — ღამით —2 +8, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებზე — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 2-7, დღისით 12-17 გრადუსი სითბო.

თბილისში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 5-7, დღისით 15-17 გრადუსი სითბო.

რატომ არ არის ჩვენი ცხოვრება მელოდრამა

არ ისვენებს დამნაშავეთა სამყარო. ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში წერს თავის ტრაგიკულ ისტორიას. ამ ისტორიის ბევრი ეპიზოდი ხელუხლებლად შევა პოსტკომუნისტური საქართველოს კრიმინალურ ანთოლოგიაში.

მათ გახელილი დარჩათ თვალები...

ჩვენში ეგზომ პოპულარული ინდური მელოდრამების ტრადიციული სიუჟეტი ასეთია: მშობლებს დახოცავენ, შვილი წამოიზრდება, აღმოსავლურ ორთაბრძოლებში დაოსტატდება და იძიებს შურს. გორის რაიონის სოფელ დიცში ყველაფერი რამდენამდე განსხვავებულად მოხდა: თავდამსხმელებმა არ დაინდეს შვიდი წლის არჩილი. ბიჭუნა ვერც ვერსად დაიმალებოდა, რადგან გარეთ, მოშიშვლებულ ადგილას ამის შესაძლებლობა არ იყო.

16 ნოემბერს, ღამით, სოფლის შარაგზაზე, სამი შეგვიანებული მგზავრი — ერთი პატარა ოჯახი მიდიოდა. ცოტაღა დარჩენოდათ სახლამდე... უცებ ავტომატები აკაკანდა.

ბიჭს გახელილი დარჩა თვალები...

მოსარკულ ცაზე ერთი ვარსკვლავი მოწყდა და იმ წყაროსავით ანკარა თვალებში აციაფდა.

დედას, ნინო მარკოზაშვილსაც გახელილი დარჩა თვალები. ოღონდ ეს თვალები ვეღარც შვილს ხედავდნენ და ვეღარც ქმარს — ივანე მარკოზაშვილს, რომელიც ცოლშვილის უსულო გვამების გვერდით ებრძოდა სიკვდილს.

მამა გადარჩა...

ჯერჯერობით, არავინ იცის ამ ტრაგიკული შემთხვევის მიზეზი, მკვლელობის მოტივი. მეც არ დავიწყებ მარჩიელობას. რაკი ასე გაიმეტეს ოჯახი, ეტყობა, სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობა ჰქონდათ.

მაგრამ იმ ნორჩმა ნერგმა რა დააშავა, ჯერ შეფოთვლაც რომ ვერ მოასწრო?

ახლაღა ვხვდები ინდური მელოდრამების ლაიტმოტივს, ოღონდ ერთიცაა — მომავალი შურისმაძიებელი მოკლეს.

სწორედ ამიტომ არ არის ჩვენი ცხოვრება მელოდრამა!

წყალტუბოს ზონის სოფელ გუმბრაში მამამ შვილს ავტომატი ესროლა და მიიმალა. 27 წლის ახალგაზრდა კაცი მძიმედ დაიჭრა. ინციდენტის მიზეზად ოჯახურ კონფლიქტს ასახელებენ.

დაუჯერებელი მკვლელობა მოხდა საბურთალოს რაიონის ერთ-ერთ საპარიკმახეროში. ბოროტმოქმედმა, რომლის ვინაობაც ახლა დადგენილია, გოჩა ლაზარაშვილს გულში დანა გაუყარა და გაიქცა.

შუადღე იყო...

მთაწმინდის რაიონში, საკუთარ ბინაში ავტომატის დახოცილი ცოლ-ქმრის ანატოლი იაროვისა და დარეჯან იობაშვილის გვამები იპოვეს.

47 წლის როლანდ გომარელი ბლაგვი საგნით მოეკლათ და გლდანის რაიონში, ერთ-ერთი სამშენებლო მოედნის ღრმულში ჩაეგდოთ.

მსხვერპლს ხან კანალიზაციის ჭაში აგდებენ, ხან — თხრილში, ხან მოკლულს აქნიან და ნაწილ-ნაწილ მარხავენ უდაბურ ადგილას.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ერთ ქალაქში ქალი დააკავეს, რომელიც საკმაოდ მოზრდილ ოჯახს ადამიანის ხორცით კვებავდა. მაცივარი გამოტენილი ჰქონდა.

ცივილიზაციის ხანაში ადამიანები კაციჭამიობას დაუბრუნდნენ.

ნუთუ არაფერს მიგვანიშნებს ეს ამბავი?

ნიღბების გალერეა

კვლავ დასდევს ნიღბიანი კაცის აჩრდილი, კარგად დააკვირდით შემდეგ ინფორმაციებს.

დმანისი. 16 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე, ავტომატებით შეიარაღებული ხუთი ნიღბიანი ბოროტმოქმედი თავს დაესხა გიორგი ჩაჩანიძის ოჯახს, სხვადასხვა საოჯახო ნივთებთან ერთად, ყაჩაღებმა 600 დოლარი და 30 ლარი წაიღეს.

საგარეჯო. იმავე დღეს, ავტომატიანმა ბოროტმოქმედებმა სოფელ თოხლიაურში ჯემალ გიუნაშვილის ოჯახი ააწიოკეს, სანადირო თოფი და სხვადასხვა ნივთები იგდეს ხელთ.

ყაჩაღები ნიღბებით იყვნენ.

თბილისი, ნაძალადევი: კვლავ ნიღბები, ავტომატები, ნიღბოსნებმა ირინე ბალიშვილს 1500 დოლარი და ძვირფასეულობა წაართვეს.

წყალტუბო. სოფელი გუმბრა, მურმან იობიძის ოჯახი. დაუპატიჟებელი სტუმრები, ავტომატები, ნიღბები. ნადავლი აქაც უმნიშვნელოა — საოჯახო ნივთები.

სოფელ ჩუნეში ეთერ სულაბერიძის სახლზე ნიღბოსნებმა საღამოჟამს მიიტანეს იერიში, არ შედრკნენ ოჯახის წევრები, მეზობლები. ნიღბოსნებმა სროლით დაიხიეს უკან.

ნიღბოსნებს... ნიღბები ვერ იხსნის!

მაძღრადაც რომ იყვნენ და დედოფლისწყაროში ეგრეთ წოდებულ ტარიბანას ველიდან მოტაცებული საწყალი ხალხის 27 ძროხა გულზე არ დაადგეთ, კანონს ვერსად გაექცევიან!

...ხელში ნაღმი აუფეთქდა

ნიღბოსნების მთავარი ატრიბუტი, ძალ-ღონე, ნიღაბია, თუმცა, უავტომატოდ მისი ფასი კაპიკია.

ამიტომ მალავენ იარაღს, მიწაში, სხვენში, საწოლში. ერთი ნიღაბი გადაყლაპეს, მეორის მორგების ჟამს ელიან.

სამტრედიელი ძმების თეიმურაზ და გენადი ბოლქვაძეების სახლის ეზოში პოლიციამ ჩეხური ტყვიამფრქვევი (81 ვაზნით) აღმოაჩინა.

ოზურგეთში, გოგიეთის ტყეში ვინმე ქორიძეს ავტომატი და 12 სხვადასხვა ტიპის ნაღმი გადაემალა.

მომრავლდა ასე უბედური შემთხვევები:

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ უნდა დავიჯეროთ: დედოფლისწყაროში, სახლში როსტომ მუმლაძეს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი აუფეთქდა, რუსთავში, 25-ე სკოლის ეზოში გიორგი აბულაშვილს — ხელყუმბარა.

ატომური ბომბიღა გვაკლია...

ზაურ მაკარაძე.

კოლეგის ხსოვნას

დაცხრა სული-მშფოთვარე..



გურამ ხარაიძისნაირი კაცები ლოგინში ნაკლებად კვდებიან... ვაი რომ, ბედის ირონიამ სწორედ ეს არგუნა — ბოლო ხანს ლოგინს მიაჯაჭვა..

ვინც გურამს იცნობდა, მისთვის წარმოუდგენელია იგი — სახლში ჩაკეტილი, წამლებისა და ექიმების იმედით... თუმცა, ბოლომდე მაინც არ ეპუებოდა ამ რეჟიმს და ყოველნაირად ცდილობდა თავისი გაეტანა ავადმყოფობასთან ჭიდილში... არაფერი გამოუვიდა!..

...და ჩვენს ხსოვნაში დიდხანს დარჩება კაცი — მშფოთვარე და დაუდგრომელი, ცინცხალი ნიჭითა და იუმორით სავსე, თავისი კვალი რომ დააჩნია ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტიკას.

„მოლოდოი სტალინეცის" ლიტმუშაკი და „ახალი მარნეულის" რედაქტორი, „კომუნისტის" განყოფილების გამგე და „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორი, „ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორის მოადგილე, „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორის პირველი მოადგილე და საქინფორმის დირექტორი... გურამ ხარაიძე, ყველგან გურამ ხარაიძედ რჩებოდა — თავისთავადი, უჩვეულო, უცნაური, ძმაკაცებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, ახლობლებს გადაგებული, ხელგაშლილი და პურადი, გულფიცხი და გულმოწყალე... მისი იუმორისტული, პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები, რეპორტაჟები, ნარკვევები და ჩანახატები შემოქმედის ხალასი ნიჭით არის აღბეჭდილი.

შარშან სამოცისა გახდა, „არაფერი მინდა, ოღონდ ამ ქვეყნის დამშვიდებას და აღმავლობას მომასწრო", — ამბობდა.

ყველაფერი დამშვიდდება, შენი საყვარელი სამშობლოც აყვავდება და ამაღლდება, ჩვენო გურამ, ოღონდ შენ აღარ იქნები — ასე მხიარული და სიცოცხლის ტრფიალი... ვალმოხდილი მიუხვალ შენს მამა-პაპათ, რომლებიც ასე გეამაყებოდა, მიუხვალ — საყვარელი „გურიკა" — შენს სახელოვან ბიძას ირაკლი აბაშიძეს, რომელსაც დღეს დაბადების 86 წლისთავი უსრულდება, მიუხვალ ყველას — შენზე ადრე წასულ თანამოძმეებს და, შეიძლება, უფრო ბედნიერიც იყო იმათთან.

ნათელი დაგადგეს!..

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია,
საქინფორმი;
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

ხსოვნა

გიზო ჯაოშვილი



უეცრად გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სამშენებლო გაერთიანება „საქკავშირმშენპროექტის" მთავარი ინჟინერი **გიზო (შოთა) რაჟდენის ძე ჯაოშვილი.**

დაიბადა 1929 წელს, თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და ინსტიტუტის შემდეგ წლების განმავლობაში განაწილებით იმუშავა რუსეთის ქარხნების მშენებლობებზე. 1958 წლიდან გ. ჯაოშვილი მოღვაწეობდა საქართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე სპეციალობის მიხედვით. კავშირგაბმულობის სისტემაში მუშაობდა 196[illegible] წლიდან ხელმძღვანელ სამუშაოებზე დღემდე.

გიზო ჯაოშვილი გამოირჩეოდა თავისი თავმდაბლობით, საქმის ბრწყინვალე ცოდნით და შრომისმოყვარეობით.

გიზო (შოთა) ჯაოშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო; კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კახა ოთარის ძე ფაცაცია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს ბატონ ოთარ ფაცაციას და მის ოჯახს შვილის

კახა ფაცაციას

გარდაცვალების გამო.

სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია „საქნავთობპროდუქტის" კოლექტივი, თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ოთარ ფაცაციას შვილის

კახა ფაცაციას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვალერიან (ალეკო) ბარდაველიძე, შვილები მარინა, ნატა, შვილიშვილები ნინო, დიმიტრი, გიორგი, ძმისწული ლალი ცქიფურიშვილი, რძალი ლია ავალიანი, სიძეები გია ტატიშვილი, ბელა ნინიძე, ირაკლი პატარქალიშვილი, მამამთილი ეზეკი, მული ლილი, მაზლები გიორგი, ნოდარი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი (ნორა) ვიქტორის ასული ცქიფურიშვილი-ბარდაველიძე

პანაშვიდი 23, 24 XI, 3 ს., გამოსვენება 25 XI, 2 ს., ცაბაძის ქ. II კორპუსი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთ „საქართველო: მოვლენები, ადამიანები"-ს მთავარ რედაქტორს იური გავას მამის

ვლადიმერ იოაკიმის ძე გავას

გარდაცვალების გამო.

მამა ტიტე სარიშვილი, მეუღლე ირინე შევარდნაძე, შვილი ლადო, შვილიშვილი მარიამი, რძალი ელზა გიგაური იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯუმბერ ტიტეს ძე სარიშვილი

პანაშვიდი 23, 24 XI, 16 ს. გამოსვენება 25 XI, 14 ს., თამარაშვილის ქუჩა 2, (ვაკის პარკთან).

სს საქქალაქმშენპროექტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, არქიტექტორი

ჯუმბერ ტიტეს ძე სარიშვილი.

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ფიქრია, ლერი მორგოშიები, ლონდა, თენგიზ ეპიტაშვილები, რუსუდან, მამია ცხადაიები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბიჭიკო წიქორია

პანაშვიდი 23, 24 XI, 4 ს. დაკრძალვა 25 XI, 2 ს. კოსტავას ქუჩა, № 67/85, კორპუსი 3, სადარბაზო 1, ბინა 1.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 ნოემბერს.

მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

გამომცემელი - შპს „პრესა"
რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 60486. ტელ: 99-73-24.
მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი